აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის

პ რ ო გ რ ა მ ა
და მოხსენებათა თეზისები

2018 წლის 19-20 ივნისი

ქუთაისი
2018

პატივცემულ ----------

2018 წლის 19-20 ივნისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის, ისტორია-არქეოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტების ორგანიზებით გაიმართება საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია.

რეგლამენტი:

მომხსენებელს – 15 წთ.

კამათში გამომსვლელს – 5 წთ.

გთხოვთ, დაესწროთ.

2018 წლის 19 ივნისი, 12 საათი
აკად. გიორგი ახვლედიანის სახელობის №1114 აუდიტორია

კონფერენციის გახსნა - პროფესორი გიორგი ღავთაძე,
უნივერსიტეტის რექტორი.

მისალმებანი:

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი.

პროფესორი მერაბ ხალვაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

პროფესორი ვახტანგ გურული, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი - **სახელმწიფოებრიობის აღდგენის ძნელი გზა.**

საქართველოს ისტორიის სექცია
19 ივნისი, 13^{30} საათი
აკად. გიორგი ახვლედიანის სახელობის №1114 აუდიტორია
სხდომის თავმჯდომარეები:
სულხან კუპრაშვილი, ბიჭიკო დიასამიძე

მოხსენებები:

სერგო ვარდოსანიძე, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი - **საუკუნის წინანდელი მკვლელობის გამო.**

დოდო ჭუმბურიძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისი - **ორმხრივი ურთიერთობები 1918-1921 წლებში (საქართველო-გერმანიისა და საქართველო-ინგლისის ურთიერთობა).**

სულხან კუპრაშვილი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ქუთაისი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში.**

ბიჭიკო დიასამიძე, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი - **საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის 2012 წლის 5 ივლისის განჩინების შესახებ.**

იმერი ბასილაძე, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ქუთაისის რეალური სასწავლებელი, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება.**

ვლადიმერ წვერავა, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საქართველო ბათუმის კონფერენციიდან ფოთის ხელშეკრულებამდე.**

ოლეგ ჯიბაშვილი, ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი - **ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული მდგომარეობა XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის.**

ოთარ ჭუმბურიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი; თინათინ კოსტავა, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ეროვნულ ურთიერთობათა საკითხისათვის პოსტსაბჭოურ საქართველოში.**

ევგენი ბლიაძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **პირველი ქართული კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ.**

ლია გაბუნია, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - ეროვნულობის დიდი გამოხატულება - **პირველი ქართული სახელმძღვანელოები ქუთაისში (XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი).**

ტარიელ ჭიღვარია, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **პოლიტიკური პარტიები და საქართველოს დამოუკიდებლობა პირველი მსოფლიო ომის დროს.**

ოთარ გოგოლიშვილი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი - **საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის რამდენიმე საპროტესტო ნოტა ინგლისის მთავრობას ბათუმის ოლქის გამო (1918-1920).**

ომარ ნიშნიანიძე, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-21წწ.).**

ოთარ ნიკოლეიშვილი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან.**

თამაზ გოგბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღება და მისი ძირითადი პრინციპები.**

ლაშა დეისაძე-შარვაშიძე, დოქტორანტი, ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტი, თბილისი - **საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე პერიოდში არსებული საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა.**

ქართული ენისა და ლიტერატურის სექცია
19 ივნისი, 13[30] საათი
უნივერსიტეტის "მწვანე დარბაზი"
სხდომის თავმჯდომარეები:
ავთანდილ ნიკოლეიშვილი, შოთა ზოიძე

მოხსენებები:

ავთანდილ ნიკოლეიშვილი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ეროვნული პრობლემის ანტიუტოპიური დისკურსი იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში.**

ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი - **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის როლისათვის "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მიერ 1919 წელს ორგანიზებული ყრილობის მომზადებაში.**

შოთა ზოიძე, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი - **გრიგოლ რობაქიძე - მითი და სინამდვილე.**

ლუკა დვალიშვილი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **გერმანული და საბჭოთა ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა საფლავები სოფელ სულორში.**

რეზო შეროზია, პროფესორი, შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ზუგდიდი - **საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და შემდგომი გამოძახილები (ანუ, ვირზე უკეთესი უნდა იყოს თუ არა ადამიანი?!).**

ნესტან კუტივაძე, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **1990-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ვითარება და ლიტერატურული ზღაპარი.**

ომარ გვეტაძე, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ძველი ქართული მწერლობის შესწავლის ისტორიიდან: ზაქარია ჭიჭინაძე.**

რუსუდან საღინაძე, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918 წ.) და სახელმწიფო ენა.**

ზეინაბ კიკვიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - თებერვალ-მაისის ოპოზიციური კონოტაციები ქართულ პოეზიაში.

ნაზი ხელაია, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **სამაჩაბლო-აფხაზეთის ტრაგედიები და ქართველი ახალგაზრდობის სულიერი რღვევა (ლ. თაბუკაშვილის "მერე რა, რომ სველია, სველი იასამანის" მიხედვით).**

20 ივნისი, 10 საათი
საქართველოს ისტორიის სექცია
აკად. გიორგი ახვლედიანის სახელობის №1114 აუდიტორია
სხდომის თავმჯდომარეები:
დოდო ჭუმბურიძე, მადონა რობაქიძე

მოხსენებები:

გოდერძი ვაჭრიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ინგლისელი ქართველოლოგი დეივიდ მარშალ ლანგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ.**

ირაკლი ბარამიძე, ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი - **"ლივერპული" ბათუმში.**

მადონა რობაქიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **გრაფი შულენბურგი და საქართველო.**

კახაბერ ქებულაძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **1924 წლის ამბოხების ისტორიისათვის ოკრიბაში.**

მათე ხვედელიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა ჩამოყალიბება 1917-1921 წლების საქართველოში.**

ელდარ თავბერიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საქართველო ბრესტის ზავიდან ბათუმის კონფერენციამდე.**

ნატო ნიქაბაძე, ისტორიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება.**

დავით წიტაიშვილი, ასისტენტ-პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ქრისტიანული და მატერიალური კულტურის ძგლები ზემო იმერეთში (ზესტაფონის რაიონი).**

რამაზ ხაჭაპურიძე, ასისტენტ პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ტრადიციები და ღვინით მკურნალობის ხალხური მეთოდები (ლეჩხუმის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით).**

ჰათიჯე ერთურქი, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **უცნობი ოსმალური საბუთები დასავლეთ საქართველოს შესახებ.**

ქადირ გულდური, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **XVIII საუკუნის ოსმალური დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობების შესახებ.**

მაგული ნიკოლაძე, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჭოგნარის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი - **ეროვნული გმირი - მერაბ კოსტავა.**

რადა სადილოვა, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩის) ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.**

20 ივნისი, 10 საათი
უნივერსიტეტის "მწვანე დარბაზი"
სხდომის თავმჯდომარეები:
ნესტან კუტივაძე, ლუკა დვალიშვილი

მოხსენებები:

გია ხოფერია, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ალექსანდრე ქუთათელის რომანი "პირისპირ" - დამოუკიდებელი საქართველოს ჟამთააღმწერელი.**

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ზვიად გამსახურდია - საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი.**

იზოლდა რუსაძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ქუთაისი - ლექსიკოგრაფიის განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელი ქალაქი საქართველოში.**

მალვინა შანიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების დაწყებითი საფეხურის მშობლიური ენის სახელმძღვანელოები და სასწავლი ტექსტები.**

ნატალია გულუა, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **რუსული პოლიტიკის კრიტიკა აკაკი წერეთლის პუბლიკაციაში ალექსანდრე სუვორინის შესახებ.**

ლელა ჩოგოვაძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **საქართველოს სახელმწიფოს კულტურული სტატუსი სინას ნახევარკუნძულზე.**

თენგიზ გუმბერიძე, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **დავით ბატონიშვილის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა.**

მანანა ჭიჭინაძე, ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **წითელ დირექტორთა მხატვრული სახეები მიხეილ ჯავახიშვილის "დამდნარ ჯაჭვსა" და ნიკო შიუკაშვილის "დირექტორ სურმაძეში".**

მარიამ მარჯანიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი - **დამოუკიდებლობის დღე ქართული ემიგრანტული ჟურნალის - "კავკასიონის" ფურცლებზე.**

ბელა დურგლიშვილი, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **თავისუფალი სულის იგავური ტრანსფორმაცია ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის "ანტონიო და დავითი" მიხედვით.**

სოფიკო ჭუმბურიძე, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **გენდერული უთანასწორობა, როგორც სოციალური პრობლემა, ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში.**

მონიკა ჯიჭონაია, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **ქრონოტოპი ნიკოლოზ ჩხოტუას რომანში - "მარადიული".**

თეონა ლომიძე, დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი - **"ცისფერყანწელთა" ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი საკითხი.**

მოხსენებათა თეზისები

ირაკლი ბარამიძე

"ლივერპული" ბათუმში

1918 წლის 30 ოქტომბერს, საბერძნეთის საპორტო ქალაქ მუდროსში, ანტანტასა და თურქეთს შორის გაფორმებული საზავო ხელშეკრულებით, ოსმალეთმა ამიერკავკასიიდან საკუთარი ჯარების სრულად გაყვანა ივალდებულა და რეგიონი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა.

1918 წლის 21 ნოემბერს ბრიტანული კრეისერი "ლივერპული", ფრანგულ "ერნსტ რენანთან" ერთად, გამოჩნდა შავ ზღვაში. 23-ში ისინი შევიდნენ ნოვოროსიისკში, 27-ში - ტუაფსეში, საიდანაც "ერნსტ რენანი" დაბრუნდა უკან სტამბოლში, "ლივერპული" კი 29 ნოემბერს შემოვიდა საქართველოს საპორტო ქალაქ სოხუმში, შემდეგ ფოთში და 1 დეკემბერს მოადგა ბათუმს.

სტატიაში, "ლივერპულის" კაპიტნის ანგარიშზე დაყრდნობით, საუბარია აღნიშნულ პორტებში გამართული შეხვედრების, ურთიერთდამოკიდებულებისა და, ზოგადად, არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ საქართველოსთვის ამ მეტად რთულ პერიოდში.

იმერი ბასილაძე

ქუთაისის რეალური სასწავლებელი, როგორც სასწავლო-საადმზრდელო დაწესებულება

ქუთაისში მე-19 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან არსებობდა კლასიკური პროგიმნაზია, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი კონტიგენტი ჰყავდა. იგი დაწყებითი ტიპის სასწავლებელი იყო და ბავშვებს ამზადებდა გიმნაზიებში ჩასარიცხად.

1897 წლიდან პროგიმნაზია რეალურ სასწავლებლად გადაკეთდა და სრულკომპლექტიანი უკვე 1898 წელს გახდა. ახლად დაარსებულ სასწავლებელში სწავლის ხარნგრძლივობა 6 წელი იყო. რეალური განათლების სისტემა არ ითვალისწინებდა, კლასიკური გიმნაზიისაგან განსხვავებით, ძველი კლასიკური ენების შესწავლას. ყურადღების ცენტრშია საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებანი, თანამედროვე ენები.

რეალურ სასწავლებელს ჰქონდა ექვსი კლასი, თითოეული ერთი წლის ხანგრძლივობით. სასწავლებელთან იქმნებოდა მოსამზადებელი კლასები, რომელთა ხანრგძლივობა ადგილობრივად დგინდებოდა მოსწავლეთა ასაკისა და მომზადების შესაბამისად. სასწავლებელი შეიძლებოდა კომერციულ და ძირითად განყოფილებად გაყოფილიყო. ძირითად განყოფილებას შეიძლებოდა დამატებოდა, აგრეთვე ერთი კლასი, რომელიც მოამზადებდა მოსწავლეებს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში შესასვლელად.

სასწავლებლის სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლებოდა შემდეგი სასწავლო დისციპლინები: 1. საღვთო სჯული; 2. რუსული ენა; 3. უცხო ენა; 4. გეოგრაფია; 5. ისტორია; 6. მათემატიკა; 7. ფიზიკა; 8. ბუნებისმეტყველება; 9. ხაზვა; 10. ხატვა; 11. მართლწერა; 12. საქმის წარმოება; 13. შრომა და 14. გიმნასტიკა.

სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და ბუნებისმეტყველების სწავლებას. შრომითი აღზრდის მიზნით ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შეიქმნა სასწავლო კაბინეტი. ხოლო ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად მიღებული იყო მოსწავლეთა ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ადგილებში (თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა) პროფესიონალი პედაგოგების ხელმძღვანელობით.

ევგენი ბლიაძე

პირველი ქართული კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ

კონსტიტუციის პროექტზე ფიქრი დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე დაიწყო. 1919 წლის ბოლოს უკვე არსებობდა კონსტიტუციის პროექტის მონახაზი. მასზე დართული მოხსენებითი ბარათი ადასტურებდა, რომ კონსტიტუციის პროექტზე საკმაოდ ხანგრძლივი და მწვავე კამათი მიმდინარეობდა. 1920 წლის 24 ნოემბერს დაიწყო კონსტიტუციის განხილვა-დამტკიცების დამამთავრებელი ეტაპი. 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ.

კონსტიტუცია თავისი შინაარსით სრულიად მიესადაგებოდა დროისა და პრობლემების საჭიროებას. პროექტი 166 მუხლისაგან, ხოლო მიღებული კონსტიტუცია 17 თავისა და 149 მუხლისაგან შედგებოდა. კონსტიტუცია აცხადებდა, რომ საქართველოს მოქალაქეობა "მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებითა და ნატურალიზაციით". საქართველოს მოქალაქე არ შეიძლებოდა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეც ყოფილიყო.

კონსტიტუციამ არსებითად შეცვალა ძველი სახელმწიფოებრივი სისტემა და სათავე დაუდო ახალ, ქართულ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც სათანადოდ არის ჩამოყალიბებული 30-მდე მუხლში. სამწუხაროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი რუსული ოკუპაცია-ანექსიის გამო სამუზეუმო ექსპონატად დარჩა.

ლია გაბუნია

ეროვნულობის დიდი გამოხატულება - პირველი ქართული სახელმძღვანელოები ქუთაისში (XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი)

რასაც სწავლა-აღზრდის პოპულარიზაცია ჰქვია, ქუთაისის ისტორიული მუზეუმისათვის ყოველდღიური საქმიანობაა. აქ შემოდის აურაცხელი დოკუმენტური თუ ფოტომასალა, რის საფუძველზეც იწერება მოხსენებები, წიგნები, იქმნება სუფთა საარქივო მასალებზე დაყრდნობილი სამეცნიერო ლიტერატურა, იზრდება ახალი კადრები. ეს მოხსენებები და სტატიები გადის სარედაქციო კონტროლს, იკითხება კონფერენციებზე და შემდეგ ეწოდება საზოგადოებას დამუშავებული და ათას პრესში გატარებული, კვლევის შედეგები. ამ მოხსენებებში ნათლად ჩანს ამჟამად კულტურის სამინისტროს მიერ წამოწყებული 61 გვერდიანი გრძელვადიანი ხედვაც, მისია, სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები.

ისტორიული მუზეუმის განათლების განყოფილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქუთაისში გამოცემულ პირველ ქართულ სახელმძღვანელოებს, რომლებიც შეიძლება სწორედ ამ თვალსაზრისით იქნას განხილული: პირველ ადგილს მე მაინც ქართულ დედა-ენას მივაკუთვნებდი. ფონდში რამდენიმე ვარიანტია დაცული: იოსებ ოცხელის, თომა მთავრიშვილის და სიმონ ყიფიანის შედგენილი „ქართული ანბანი", რომელიც 1915 წლით თარიღდება [ქიმ: 9170,სგფ.165/5]; იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა," ორმოცდამესამე გამოცემა, 1920 წელი [9170,სგფ156/30]; „ჩვენი მეგობარი" - პირველი წიგნი პაწია ბავშვებისათვის, „ახალი წიგნი" ავტორები: ნ. ბოცვაძე, ე. ბურჯანაძე, რ. ჩიხლაძე, 1829 წელი; ვ. ძიძიგური, ა. ვახარია [ქიმ: 9170, სგფ.165/7] 1937 წელი; „ანბანი" მეორე გამოცემა, 1926 წელი [ქიმ: 9170, სგფ.165/24]; „საყმაწვილო მოთხრობანი" – 1904 წელი; „პირველი ჯგუფის სამუშაო წიგნი", 1931 წელი. ევდოშვილის „საყმაწვილო მოთხრობები" 1914 წელი [ქიმ: 9170, სგფ. 165/21]; „პაწია მეგობრები", 1921 წელი. [ქიმ: 9170, სგფ.165/19]; იაკობ ზედგინიძის „ახალი ქართული ანბანი", 1920 წელი [ქიმ: 9170,სგფ.165/23]; ა. ქუთათელაძის „სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის", 1904 წელი [ქიმ: 9170, სგფ.165/26]; მას გვერდს უმშვენებს ქართული „მართლწერისა და სწორ-წერის ძირითადი საფუძვლები", "ნიკოლოზ ბარათაშვილი", საკითხავი წიგნი ქართული ლიტერატურის შესასწავლად, „ბუნების კარი" - ყრმათათვის საკითხავი წიგნი, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი" 1903 წლის გამოცემა [ქიმ: 9170,სგფ.165/17]; „პირველყოფილი კულტურა" უმცროსკლასელთა დასახმარებლად. გადმოკეთებული კუდრიაკოვსკის წიგნიდან, 1920 წელი [ქიმ: 9170, სგფ. 165/8]; საქართველოს ისტორიის რამდენიმე ვარიანტი.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრებულმა სკოლებმა და უაღრესად განათლებულმა პედაგოგიურმა ელიტამ დიდი როლი შეასრულა ქართული ენის შენარჩუნებასა და ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. სწორედ ამ დროს განმტკიცდა ქართული ეროვნული სასკოლო სისტემა.

ომარ გვეტაძე

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის ისტორიიდან: ზაქარია ჭიჭინაძე

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. სხვადასხვა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან ერთად, ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის მოამაგეებმა, რომელთაც მოიპოვეს, გადაარჩინეს, აღწერეს და წარმოაჩინეს ქართველი ხალხის საგანძური. ასეთ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის ძველი ქართული მწერლობის კოლექციონერი და მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე. იგი, ჩვენი სიძველეების უდესი სიყვარულით აგროვებდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ლიტერატურის ხელნაწერებს. ზაქარია ჭიჭნაძე არის რანდენიმე ძეგლის პირველადმომჩენიც. მისი, როგორც მკვლევრის ინტერესების სფერო ფართოა. იგი იკვლევდა ძველი ქართული მწერლობის ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა: სახოტბო პოეზია, "ვეფხისტყაოსანი", "ვისრამიანი", "ამირანდარეჯანიანი", "როსტომიანი", "დილარიანი", "ნარგიზოვანი" და ა, შ. როგორც აღნიშნავენ, ზოგჯერ ზაქარია ჭიჭინაძეს მოჰყავს პრიმიტიული, სრულიად დაუსაბუთებელი ცნობები, მაგრამ, ამავე დროს, მისი ნაშრომები შეიცავს ძალზე საინტერესო დაკვირვებებს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი აქტუალობა.

თამაზ გოგბერაშვილი

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღება და მისი ძირითადი პრინციპები

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია საქართველოს კონსტიტუციონალიზმის თავფურცელია და მანამდე ჩვენს ქვეყანას კონსტიტუცია, როგორც ერთიანი საკანონმდებლო აქტი, არ ჰქონია. მეცნიერთა შეფასებით, ეს კონსტიტუცია იმ დროისათვის განვითარებული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული დოკუმენტი იყო, რომელსაც ფაქტობრივად არ უმოქმედია და საბჭოთა პერიოდში ტაბუ იყო დადებული მის შესწავლასა და კვლევაზე.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც საქართველო გახდა სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მიუხედავად საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, იგი ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზების სრულყოფილებას. საჭირო იყო კონსტიტუციის მიღება, რომლის შემუშავება იწყება საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მოღვაწეობით. კერძოდ, 1918 წლის 6 ივნისს ეროვნულმა საბჭომ სხდომაზე დაამტკიცა "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენი კომისია".

1918 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. გამარჯვება მოიპოვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (130 მანდატიდან 103 მოიპოვა). იმავე წლის 18 მარტს დამფუძნებელმა კრებამ აირჩია საკონსტიტუციო კომისია 15 წევრის შემადგენლობით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას მეტად რთულ პირობებში მოუხდა კონსტიტუციის მიღება, რაც გამოწვეული იყო საქართველოში საბჭოთა რუსეთის შემოჭრით. ამ მოლენის გამო, 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რითაც შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა.

კონსტიტუციამ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარა დემოკრატიული რესპუბლიკა და იგი მუდმივ, აუცილებელ ფორმად გამოაცხადა. საქართველო გამოცხადდა თავისუფალ, დემოკრატიულ და განუყოფელ სახელმწიფოდ. ურთულესი საშინაო

და საგარეო მდგომარეობის მიუხედავად, კინსტიტუციამ გააუქმა სიკვდილით დასჯა და აღიარა პიროვნების ხელშეუხებლობა. ამ კონსტიტუციით, ქალებს ხმის უფლება მიენიჭათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში გონივრულადაა შეჯერებული მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და საერთო-ეროვნული საწყისები. იგი სამართლის ევოლუციის შედეგად შექმნილი კონსტიტუციების პირველ ტალღას განეკუთვნება. კონსტიტუცია ერთ-ერთი პროგრესული იყო მაშინდელ ევროპაში. უკვე მაშინ აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი დასავლური ცივილიზაცია ეყრდნობა.

ოთარ გოგოლიშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის რამდენიმე საპროტესტო ნოტა ინგლისის მთავრობას ბათუმის ოლქის გამო (1918-1920)

1918 წლის ნოემბრიდან ბათუმი და ბათუმის ოლქი ინგლისელების ოკუპაციის ობიექტად იქცა. თურქეთის ხელისუფლების მსგავსად, სამუსლიმანო საქართველოს ძარცვა და გლეჯა ამიერიდან ინგლისელებმა ითავეს და არანაკლებ უხეში მეთოდებით ახორციელებდნენ თავიანთი მიზნებს. ერთი მხრივ, დამარცხებული თურქეთის ხელისუფალნი ხელს როდი იღებდნენ სამუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ბათუმის ოლქზე და თავიანთი დასაყრდენი ძალებით აგრძელებდნენ ფარულ თუ აშკარა მუშაობას; მეორე მხრივ, ინგლისელები, რომლებიც მოევლინენ ბათუმის ოლქს, მსოფლიო რეაქციულ ძალებთან კავშირში, გეგმავდნენ მხარის საქართველოსგან ჩამოცილებას და დანაწილებას.

ქადირ გულდური

XVIII საუკუნის ოსმალური დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობების შესახებ

XVIII საუკუნის მე-2 ნახევრიდან ოსმალეთის იმპერიისა და იმერეთის სამეფოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მეფე სოლომონ პირველმა შეძლო და ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანა და ოსმალეთის იმპერიასთან ურთიერთობაში ძლიერ ლიდერად წარმოჩინდა. გამომდინარე აქედან, ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობების ინტენსიურობა დასავლეთ საქართველოსთან იმ ისტორიულ დოკუმენტებშიც აისახა, რომლებიც დაცულია თურქეთის რესპუბლიკის ოსმალურ არქივებში. XVIII საუკუნის ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები დასავლეთ საქართველოსთან მრავალ ისტორიულ წყაროში აისახა. ჩვენ მიერ სტამბულის "თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოსმალურ არქივში" ნახული იქნა ამ ურთიერთობების ამსახველი 23 დოკუმენტი, რომელთა შესწავლა, გაანალიზება და კომენტირება ხელს შეუწყობს ორი მეზობელი ქვეყნის ისტორიული ურთიერთობების კვლევის პროცესის გაღრმავებას.

ნატალია გულუა

რუსული პოლიტიკის კრიტიკა აკაკი წერეთლის პუბლიკაციაში ალექსანდრე სუვორინის შესახებ

აკაკი წერეთლის რუსულენოვან პუბლიკაციებში განსაკუთრებული სიმძაფრითაა გადმოცემული დიდი შემოქმედისა და გულმხურვალე მამულიშვილის პატრიოტიზმი და მუდმივი მზადყოფნა, თავისი ბასრი კალმით ემხილებინა საქართველოსა და ქართველი ერის აუგად მახსენებლები. მისი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებიდან გამოვყავით 1877 წლის 12 აგვისტოს გაზეთში «Òèôëèññêèé Âåñòíèê» გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ის აკრიტიკებს ცნობილ ლიტერატურულ მოსაქმე-კომენსანტს ალექსანდრე სერგეევიჩ სუვორინს. აკაკიმ წერილით «Î ã. Ñóâîðèíå è âìó ïîäîáíûõ» არაგულწრფელობაში დაადანაშაულა სუვორინი და ამ მიმართულებით მიმართა თავისი ბასრი კალამი. მან ასევე გვიჩვენა ორად გახლეჩილი რუსული საზოგადოება და არა მარტო რუსული, რადგან, სამწუხაროდ, სუვორინს საქართველოშიც ჰყავდა თანამოაზრენი. ფაქტების არასწორი გაანალიზებით მას შეცდომაში შეჰყავდა რუსული საზოგადოება. სწორედ ამიტომ აკაკი რუსულ გაზეთში, რუსულ ენაზე ამ რუსული საზოგადოებისათვის წერდა, რათა მათთვის სწორი ინფორმაცია მიეწვდინა. Vოცემულ შემთხვევაში სუვორინი მხოლოდ რუპორია, რომელიც ახმიანებს მის მსგავთა განწყობილებას და დამოკიდებულებას რუსეთის განაპირა მხარეებისადმი. ამ წერილმა კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ აკაკი დაურიდებლად ამხელდა რუსულ პოლიტიკას და მკითხველს უჩვენებდა "მოძმე" რუსეთის ჭეშმარიტ სახეს.

თენგიზ გუმბერიძე

დავით ბატონიშვილის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა

დავით ბატონიშვილი (1767-1819) "გარდამავალი ხანის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწეა. იგი გიორგი XII-ის შემდეგ ითვლებოდა საქართველოს მომავალ მეფედ, რომელსაც სამეფო ტახტი მამამ თავის სიცოცხლეშივე დაუმტკიცა. დავითი ყრმობიდანვე მონაწილეობდა სახელმწიფოებრივად ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში. მას მოიხსენიებდნენ თანამდებობითა და ხარისხით - "საქართველოს მემკვიდრე, რუსთა გენერალ-ლეიტენანტი, კავალერი და სენატორი". თანამედროვეთა დახასიათებით იგი იყო "ყოველთა შვილთა და ძმათა უგონიერესი, ცქვიტი, ფხიზელი, და მარჯვე სიტყვითა და საქმითა".

დავითს თავიდანვე ზრდიდნენ ევროპული წეს-ჩვეულებების მიხედვით და ამზადებდნენ რუსეთთან ურთიერთობის მომავალ სპეციალისტად. იგი იყო რუსეთ-საქართველოს ახლო ურთიერთობის გამორჩეული მომხრე სამეფო გვარიშვილებს შორის. ახალგაზრდობიდანვე იზიარებდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის იდეებს, იყო ცნობილი ვოლტერიანელი. ქართული მწერლობისადმი სიყვარული მას შთააგონა დავით რექტორმა, რომელიც ასევე მისი ერთ-ერთი აღმზრდელი და მასწავლებელი იყო. დავითი განსაკუთრებულად აფასებდა დავით რექტორს, იყო მისი მადლიერი, უძღვნიდა ლექსებს ("ეს ჩემი შრომა რექტორსა შევსძღვენ..."). 1803 წლიდან დავით ბატონიშვილი რუსეთში ცხოვრობს, სწორედ რუსეთში შეიქმნა მისი შემოქმედების გარკვეული ნაწილი.

დავითის შემოქმედების ერთ მონაკვეთს სატირული ლექსები წარმოადგენს, რომელშიც იგი ქართველ მსახურეულ არისტოკრატიას დასცინის, კერძოდ, იმათ, რომელთაც სამშობლოს სამსახური დაივიწყეს.

დავით ბატონიშვილის ლექსებს ასევე გასდევს მძაფრი უკმაყოფილება, რაც მისი თანამედროვე საქართველოს უკუღმართი მდგომარეობით იყო გამოწვეული, რუსეთს გადასახლებული პოეტი ემდურის სოფელს. რად ჰგმობ სოფელსაო, - მიუწერია მისთვის პეტრე ლარაძეს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ლექსმა გამოხმაურება პოვა, როგორც პოეტის თანამედროვეთა შორის, ასევე შემდგომი ეპოქის დიდ მოღვაწეთაგან. მაგალითად, ილია ჭავჭავაძეს ჰყვარებია "გამიფრინდა სიყვარულის ფრინველი". დავითის ლექსების ნუსხაში შედის: "ეშიკაღას მობრძანება ჩინით", "უბედური ხვედრი", "სოფლისაგან განაწირი", "ესე ხელხება", "შენი დისკო" და მრავალი სხვა. მნიშვნელოვან შენაძენად ითვლება "ქართლის ცხოვრების" გაგრძელება, რომელიც დავითს ბაგრატ ბატონიშვილთან ერთად დაუწერია.

ვახტანგ გურული

სახელმწიფოებრიობის აღდგენის ძნელი გზა

1. პირველი მსოფლიო ომის მეოთხე წელს შექმნილმა ხელსაყრებლმა საერთაშორისო ვითარებამ და საკუთრივ რუსეთში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა (1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ) ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაშიც კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ განვლილი გზა: 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, 1832 წლის შეთქმულება, XIX საუკუნის 60-90-იანი წლების დიდი ეროვნული მოძრაობა. ეროვნული მოძრაობის საერთო მონაპოვარი არჩილ ჯორჯაძემ მოკლედ ასე შეაფასა: ქართველი ერის მიერ რუსული მოქალაქეობის შეუწყნარებლობა.

2. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში თანადროულად დაიწყო სამი პროცესი: 1. პროცესი, რომლის მიზანი იყო **რაიმე ფორმით საქართველოს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დატოვება**. ამ პროცესს მართავდა ჯერ რუსეთის დროებითი მთავრობა (1917 წლის მარტი-ოქტომბერი), ხოლო შემდეგ, 1917 წლის ოქტომბრიდან საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ამ შემთხვევაში რუსეთის დროებითი მთავრობისა და საბჭოთა მთავრობის დასაყრდენს წარმოადგენდა რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის კავკასიის ფრონტზე განლაგებული კავკასიის არმია, საქართველოს რუსი ეროვნების მოსახლეობა, რუსული სამღვდელოება; 2. პროცესი, რომლის მიზანი იყო **1811-1814 წლებში რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა**. ამ პროცესს წარმართავდა ის ქართველი სამღვდელოება, რომელთაც ჯერ კიდევ 1905-1906 წლებში ოფიციალურ დონეზე მოითხივეს უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა; 3. პროცესი, რომლის მიზანი იყო **საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს გააუქმა რუსეთის იმპერიამ**.

3. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას რამდენიმე შინაგანი და გარეგანი ფაქტორი აფერხებდა, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: 1. რუსეთის დროებითი მთავრობისა და საბჭოთა რუსეთის მთავრობის მისწრაფება შეენარჩუნებინა იურისდიქცია სამხრეთ კავკასიაში; 2.

ოსმალეთის მისწრაფება ხელში ჩაეგდო სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და თუ შესაძლებელი იქნებოდა, სხვა რეგიონებიც (პირველ რიგში აფხაზეთი); 3. მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის პირობებში დაბალანსებული პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავებისა და სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის პოვნის სირთულე;

4. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (აფხაზეთში, შიდა ქართლში, ჭარ-ბელაქანში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში) მიმდინარე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, რომლებიც გარე ძალიდან იმართებოდა და რომლის მიზანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა წარმოადგენდა;

5. რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე (ქალაქ ტრაპიზონიდან ვანის ტბამდე) განლაგებული რუსეთის არმია (200 000 ოფიცერი და ჯარისკაცი), რომელსაც პოლიტიკური მიზნებისათვის მარჯვედ იყენებდა როგორც რუსეთის დროებითი მთავრობა, ისე საბჭოთა რუსეთის მთავრობა;

6. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალისტური ორიენტაციის ძალების მუდმივი კონფრონტაცია, პარტიული ინტერესების ეროვნულ-სახელმწიფოებრივზე მაღლა დაყენება;

7. პრორუსულ და პროდასავლურ პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება, საქართველოს მომავლის განსხვავებული ხედვა.

ლაშა დეისაძე-შარვაშიძე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე პერიოდში არსებული საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა

საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, თითქმის ორი ათასი წელიწადია, ურთიერთგანუყოფელი ორი სივრცეა, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთობით ემსახურებიან ქართველი ხალხის ქრისტიანულ-ეროვნულ განვითარებას. ქართველმა ერმა ქრისტეს რჯული, გარდა აღმსარებლობისა, ასევე თავის სახელმწიფოებრივ იდეად მიიღო და დაისახა.

1801-1810 წლებში, რუსეთის კოლონიალისტური იმპერიის მიერ საქართველოს უძველესი სახელმწიფოებრიობის უკანონო გაუქმებას, თანმდევად მოჰყვა, იმავე იმპერიის მიერ, 1811-1814 წლებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის ანტიკანონიკური გაუქმება, მცხეთისა და ბიჭვინთა-გელათის საკათალიკოსო ტახტებზე. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ერთი წლით ადრე, 1917 წლის 12 (25) მარტს, წინ უძღოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რომელიც მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამოცხადდა. საქართველოს სულიერი დამოუკიდებლობის აღდგენამ, იდეური და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ნიადაგი მოუმზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

1917 წლის ძვ.სტ. 12 მარტს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთანავე, კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე, საქართველოს ეკლესიაში დაწესდა დროებითი მმართველობა, რომლის თავმჯდომარე გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ყოვლადუსამღვდელოესი გურია-ოდიშის ეპისკოპოსი (შემდგომში თბილელი მიტროპოლიტი; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ლეონიდე (ოქროპირიძე). აღნიშნულმა დროებითმა მმართველობამ, თავისი პირველი სხდომა გამართა

1917 წლის ძვ.სტ. 13 მარტს, ხოლო უკანასკნელი - ამავე წლის ძვ.სტ. 14 სექტემბერს. სულ გაიმართა ორმოცდაჩვიდმეტი სხდომა.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის მოღვაწეობის ისტორია, გარდა საეკლესიო ასპექტისა, ასევე მეტად საინტერესო გახლავთ იმ კონტექსტში, თუ რა ვითარება სუფევდა დამოუკიდებლობის სათავეებთან მდგომ ჩვენს ქვეყანაში, რა ტიპის საკითხებსა და მოვლენებზე უწევდა მსჯელობა და შესაბამისი მოქმედება საქართველოს ეკლესიის მაღალ იერარქიას.

ვფიქრობთ, 1918 წლის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, თავისი წანამძღვარით - 1917 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით, წარმოადგენს ერთ სინთეზურ მოვლენას, ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან, ქარტეხილებით აღსავსე მატეანეში.

ლუკა დვალიშვილი

გერმანული და საბჭოთა ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა საფლავები სოფელ სულორში

ცნობილი ფაქტია, რომ ფაშისტური გერმანიის მთავრობამ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო ფიქრი და შესაბამისი გეგმის შემუშავება, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში თავის დროზე ძალის გამოყენების გზით შეყვანილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რაც შეიძლება მეტი მომხრე გაეჩინა და მოეწყო ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები. მტრის ზურგში სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის კორდინაციისა და გააქტიურებისთვის ფაშისტური გერმანიის მთავრობამ შექმნა სპეციალური სადაზვერვო ორგანო: მშვიდობისმოყვრული სახელწოდებით "უნტერნემენი ცეპელინი" (საწარმოო, (კომპანია) ცეპელინი).

გერმანიის მთავრობა არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობდა, რომ საბჭოეთთან ომის შემთხვევაში, ანტისაბჭოთა გამოსვლებისთვის მოკავშირე რესპუბლიკებიდან საქართველოს მოსახლეობის აყოლიება-წაქეზებისთვის ყველა პირობა არსებობდა. ჩვენი ვარაუდით, ზემოთქმული ფიქრის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებაში 1918 წელს, გერმანელებს დიდი დამსახურება მიუძღვით. ფაქტია, რომ შემდეგშიც სუვერენული საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტად პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამდე ისევ გერმანია იყო.

უცხოეთში გახიზნულ საქართველოს მთავრობასა და ემიგრაციის წარმომადგენლებს აქტიური კონტაქტები ჰქონდათ გერმანიის ხელისუფლებასთან და, მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველ ხანებში მაინც, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაში მათ დახმარების დიდი იმედი ჰქონდათ. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, გერმანის მთავრობის ინიციატივითა და ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილის აქტიურობით, შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების დანაყოფი თამარ-1, რომელიც დაკომპლექტებული იყო ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებისგან, ხოლო 1941 წლის ოქტომბერში, ყოფილი საბჭოთა ტყვეებისაგან შეიქმნა სადაზვერვო დივერსიული ბატალიონი თამარ-2. მოგვიანებით, ფრონტზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თამარ-1 და თამარ-2 გაერთიანდა და მათ დაეკისრა საქართველოში აჯანყების მომზადება.

1942 წლის ზაფხულში ფაშისტური გერმანიის მთავრობამ აქტიურად დაიწყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და, მათ შორის საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში, სადაზვერვო დივერსიული ჯგუფების გადმოსმა, მათ შორის ერთი რვაკაციანი, ყოფილ ქართველ სამხედრო ტყვეებისგან დაკომპლექტებული პარაშუტისტთა ჯგუფი გადმოსხეს სოფელ სულორის მთებში, ალპურ საძოვრებზე, სანისლია-სახადის გორაზე. ჯგუფის წევრები, როგორც გეგმით ჰქონდათ

გათვალიწინებული, შეიკრიბნენ სოფელ სულორის განაპირას, ხახუტაშვილების უბნის ბოლოში, კაკოურეს გორაზე. სოფელში ჯერ კიდევ ბევრია ჭარმაგი ადამიანი, რომლებიც შეხვდნენ გულკეთილ და ხელგაშლილ ქართველ მეომრებს და ახლაც სიამოვნებითა და გულისტკივილით მოგვითხრობენ მათზე. კაკოურას გორაზე შეკრებილები თავისი ნებით ჩაბარდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელმაც არ დაინდო ისინი. უდანაშაულო ქართველი მეომრები ჯერ რაიონის ცენტრში ჩაიყვანეს, მერე სასწრაფოდ უკან დააბრუნეს და სოფელ სულორის ცენტრიდან ახლოს, მდინარე სულორის ნაპირთან, ხვედელიძეების უბნის გამოღმა მხარეს, ძალით თუ ნებით შეკრებილ-მოგროვილ ხალხის თვალწინ დაუნდობლად დახვრიტეს. საბედნიეროდ, რეპრესიული სახელმწიფო მანქანის მუქარის მიუხედავად, ამ ადგილას მცხოვრებმა აკაკი ხელაძის ოჯახმა მოუარა და უპატრონა ტრაგიკულად დაღუპული უდანაშაულო ქართველი ახალგაზრდების საფლავებს. მოგვიანებით ამ ოჯახის უფროსმა ვაჟმა, ზურაბ ხელაძემ, კიდევ უფრო გაალამაზა აქაურობა და შესაბამისი მემორიალური დაფითაც შეამკო. მუხანათურად დახვრეტილი რვა ქართველი ვაჟკაცის ტრაგიკული ბიოგრაფისა და საქმიანობის უცნობი დეტალების გააზრება საინტერესო პარალელს აჩენს მეორე მსოფლიო ომისა და მასში ქართველების მონაწილეობის შესახებ.

ბიჭიკო დიასამიძე

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის 2012 წლის 5 ივლისის განჩინების შესახებ

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის განჩინებაში ნათქვამია: „ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით XX საუკუნეში, კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთი საქართველო IV-IX საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს ჩრდილო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს გადადგას რეალური დროული და ქმედითი ნაბიჯები... საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის.

უწმინდესი სინოდის განჩინების საფუძველი გახდა თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული დებულება: "სანამ დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, ოფიციალური ეკლესიისა და სახელმწიფო კანცელარიის ენის როლს ბერძნული ასრულებდა" და აქედან გამომდინარე - ხელოვნურად შექმნილი თეორიები ე. წ. "ქართიზაციისა" და "პროზელიტიზმისა".

ხსენებული განჩინების შესაბამისად, პრობლემის კვლევა დაიწყო მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ, რომელმაც აქამდე დასავლეთ საქართველოში ლოკალიზებული საეკლესიო ცენტრები: პიტიუნტი (ბიჭვინთა), სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა... გადაიტანა მდინარე აფსაროსიდან (ჭოროხი) ტრაპიზონამდე ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში, ლაზეთში. მას სურს დაასაბუთოს, რომ ბიზანტიელთა ბატონობა დასავლეთ საქართველოში კი არ ყოფილა, არამედ ჭოროხიდან ტრაპიზონამდე ტერიტორიაზე და, შესაბამისად, კონსტანტინეპოლის პატრიარქზე დაქვემდებარებული საეპისკოპოსოებიც აქ იყო. იგი თვლის, რომ ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით, ზღვისპირის გაყოლებით, სურმენესთან იყო დიოსკურია/სებასტოპოლისი, ათინასთან - პიტიუნტი, ხუფასთან (ხოფასთან) - პეტრა, გონიოსთან - ფაზისი, ციხისძირთან - არქეოპოლისი და სხვა.

ანანია ჯაფარიძის ეს მოსაზრებანი ნაკლებად არგუმენტირებული და სათანადოდ დაუსაბუთებელი ჩანს. ამიტომ, ვფიქრობთ, განჩინების შესრულება იმით უნდა დაწყებულიყო, რამდენად დასაბუთებულია ზემოთ მოტანილი დებულება და მის გასამაგრებლად შექმნილი თეორიები.

წარმოდგენილ ნაშრომში დასაბუთებულია ზემოთ ხსენებული დებულების უსაფუძვლობა და ნათქვამია, რომ ადრეშუასუკუნეებში როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო ერთიანი ქართული სივრცე იყო ენით და დამწერლობით. ამიტომ ხელოვნურად შექმნილი ჩანს ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული ზემოთ ხსენებული დებულება - IV-VIII საუკუნეების ეგრისში ბერძნული ენის როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში გაბატონების შესახებ და მისგან გამომდინარე ე. წ. ქართიზაციისა და პროზელიტიზმის თეორიები.

ბელა დურგლიშვილი

თავისუფალი სულის იგავური ტრანსფორმაცია ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის "ანტონიო და დავითი" მიხედვით

XX–XXI საუკუნეების გამორჩეული ქართველი მწერლის ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში მკაფიოდ იკითხება დრამატული ეპოქის ყველა ნიშან-თვისება, რომელიც აერთიანებს ისტორიულ და მწერლის თანამედროვე ყოფას. მწერალი პროზის საუკეთესო ნიმუშებით გვევლინება ადამიანის სულის მკვლევარ-ანალიტიკოსად. მისი მხატვრული სახეები მოთხრობიდან "ანტონიო და დავითი" უმაღლესი ემოციური ძალით ამკვიდრებენ ცნობიერებაში ადამიანის გამარჯვებას სამყაროში გაბატონებულ უკეთურებასა და სიბნელეზე. ჯემალ ქარჩხაძე გვთავაზობს სახარების იგავთა ჰერმენევტიკული მოდელის ძირითადი კონცეპტების ხელახალ გადააზრებას. ანტონიოსა და ბართოლომეოს არქეტიპულ იგავურ სახეებთან ერთად დავითის სახის მეტამორფოზის ჩვენებით მწერალი მხარს უჭერს თავისუფლების იდეას, რომელიც ადამიანის სულიერი თვალის ახელას უნდა მოემსახუროს. მწერლის ჩანაფიქრით, მხოლოდ ტანჯვის გზით მიიღწევა კათარზისი და ერთი ადამიანის თავგანწირვა და სიყვარული თვისებრივი ინდექსიდან რაოდენობრივში გადაინაცვლებს. ასეთია მწერლის ჰუმანისტური კონცეფცია, რომელიც ეროვნული თვალსაწიერის გაფართოებასა და უნივერსალური საკაცობრიო ჭეშმარიტების გამოხატვას ემსახურება.

ჰათიჯე ერთურქი

უცნობი ოსმალური საბუთები დასავლეთ საქართველოს შესახებ

თურქეთის რესპუბლიკაში ოსმალური პერიოდის ათასობით დოკუმენტია დაცული არქივებსა და სიძველეთსაცავებში, რომლებიც ეხებიან საქართველოსა და ოსმალეთს შორის არსებულ ურთიერთობებს, როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ ურთიერთობათა ჭრილში. თურქეთში, კერძოდ ქალაქ ანკარის ისტორიულ არქივში, პრემიერმინისტრის არქივში დაცული დოკუმენტებიდან წარმოგიდგენთ რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც ეხება: "დასავლეთ საქართველო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში XIX საუკუნის პირველ ნახევარში".

გოდერძი ვაჭრიძე

ინგლისელი ქართველოლოგი დეივიდ მარშალ ლანგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ

დეივიდ მარშალ ლანგი (1924-1991 წწ.) იყო გამორჩეული ინგლისელი ქართველოლოგი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიათმცოდნეობის პროფესორი, 1968 წელს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. 1963 წელს ორიენტალისტთა მოსკოვის საერთაშორისო კონგრესის შრომებში დაიბეჭდა დ. ლანგის ნაშრომი "შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის პრობლემები". გამოავლინა "სიბრძნე ბალავარისას" ქართული იერუსალიმური ნუსხა და 1966 წელს გამოსცა ინგლისურ ენაზე. ამავე წელს ლონდონში დაბეჭდა "ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები" და 1970 წელს გამოსცა "ხალხური და კურტუაზული ელემენტები ქართულ ეპოსში".

საქართველოს ისტორიის შესახებ დ. ლანგს ეკუთვნის წიგნები: "ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები (1658-1832)" (ნიუ-იორკი, 1957), "საქართველოს ახალი ისტორია" (ლონდონი, 1962) და მიმოხილვითი საცნობარო ნაშრომი "ქართველები" (ბრისტოლი, 1966). ავტორმა ცალკეული შრომები მიუძღვნა პეტრე იბერის ვინაობასა და მოღვაწეობას, გიორგი ბრწყინვალის მეფობას, სეფიანთა ირანში ქართველების მოღვაწეობას, ვახტანგ VI-ის ურთიერთობას საფრანგეთთან, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს, ქართული ნუმიზმატიკის საკითხებს.

"საქართველოს ახალი ისტორიის" X თავში - "დამოუკიდებელი საქართველო: 1918-1921" და XI თავში - "საქართველო და კომუნისტური რუსეთი: 1920-1924", დ. ლანგს განხილული აქვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის, მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცალკეული ასპექტები, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა და 1924 წლის აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

შოთა ზოიძე

გრიგოლ რობაქიძე - მითი და სინამდვილე

ჩვენ წინაშეა სრულიად ლეგიტიმური კითხვები: ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე, გარდა იმისა, რომ მას ვიცნობთ როგორც პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს, ესეისტს, პუბლიცისტს?! იყო თუ არა იგი საბჭოთა სისტემის მტერი? არის თუ არა იგი ფაშისტური იდეოლოგიის მგზნებარე პროპაგანდისტი? არის თუ არა სტალინისა და ბერიას პირადი რეზიდენტი გერმანიაში? თუ არც ერთი არ არის? ამ კითხვებზე სრულყოფილი პასუხი დღეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ყველა შემთხვევაში სრულყოფილი სურათის დადგენას სჭირდება ჩვენს ქვეყანაში ლუსტრაციის კანონის მიღება.

გრიგოლ რობაქიძე 1931 წელს მივლინებით წავიდა გერმანიაში და აღარ დაბრუნებულა. კიდევ მეტიც - ჰიტლერის გარემოცვაში აღმოჩნდა. ყველაზე საუკუთესო, რაც გრიგოლ რობაქიძის კალამს ეკუთვნის, საქართველოში დაიწერა. ომის წლებში მას დასავლეთში აღმერთებდნენ, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსად სახავდნენ, გოეთეს გვერდით აყენებდნენ, ხოლო ჩვენთან აკრძალული იყო.

ომის შემდეგ სურათი შეიცვალა. გრიგოლ რობაქიძე დასავლეთში აღარავის ახსოვს და აღარ სჭირდებათ, ხოლო ჩვენთან, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, სისტემატურად იბეჭდება: ზოგი აქებს და ადიდებს, ზოგიც - საშუალო დონის მწერლად მიიჩნევს.

ნაშრომში წარმოდგენილია იმ მასალების კომენტარები, რომლებიც ბოლო წლებში გამოქვეყნდა.

სერგო ვარდოსანიძე

საუკუნის წინანდელი მკვლელობის გამო

1918 წლის 30 ივნისს, გაზეთი „საქართველო” მწუხარებით იტყობინებოდა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, 26 ივნისს დილით გაემგზავრა მარტყოფში, 27 ივნისს იგი იპოვეს მიცვალებული მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო ბინაზე, მის საწოლ ოთახში”...

„ჩაქრა ლამპარი, რომლის მსგავსი იშვიათად აინთება საუკუნიდან საუკუნემდე, ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი მღვდელმთავარი, არამედ უპირველესად ყოვლისა სამოქალაქო მოღვაწე, მოაზროვნე, მეცნიერი, დიდი მამულიშვილი” (იოსებ იმედაშვილი). „მარტყოფის საიდუმლო გამოუცნობელია, რა მოხდა წმიდა ანტონის მონასტერში? დანამდვილებით არავინ იცის, საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათოლკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მის სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი ჰფარავს უღრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილი მონასტრის საიდუმლოებასაც” (გაზ. „საქართველო”). ასი წელი სრულდება საუკუნის ამ მკვლელობიდან, მაგრამ დღემდე არ გვაქვს მკაფიო პასუხი კითხვაზე: რა მოხდა მარტყოფის მონასტერში 1918 წლის 27 ივნისს განთიადისას? ვინ იყო ამ დროს საეკლესიო მოღვაწის მკვლელი და ვისი დაკვეთით მოქმედებდა იგი? მართალია, გამოძიება დაიწყო, მაგრამ შემდეგ შეწყდა, მასალები კი უამრავი იყო. დამოუკიდებელი გამოძიება უწარმოებია ცნობილ საზოგადო მოღვაწეს იოსებ იმედაშვილს, რომელიც მიიჩნევდა, რომ უცნობ მკვლელთან თანამშრომლობდა არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკიც.

გაუგებარია, გამოძიება რატომ არ დაინტერესდა მეეტლე ვასილ კბილაშვილით? რატომ არ დაიკითხა ეგზარქოსის ყოფილი ჯაშუში, დავით დავიდოვი (დავითაშვილი), რომელიც განაწყენებული კათალიკოზ კირიონს მოკვლით ემუქრებოდა, რადგან არ დანიშნა საკათალიკოზო საბჭოს მდივნის თანამდებობაზე. ნეტავ რა იცოდა ამ მკვლელობის შესახებ პროფესორმა სარგის კაკაბაძემ, როდესაც თავის წიგნში, „ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 წ.წ.”, ასეთი შენიშვნა გააკეთა: „კათალიკოზი კირიონი მოკლა მიტროპოლიტ ლეონიდეს მომხრემ მარტყოფის მონასტერში”. უწმიდესი კირიონის მკვლელობის შემდეგ გაგრძელდა შურისძიება, მოკლეს ქუთათელი მიტროპოლიტი ანგონი (გიორგაძე), მღვდელმონაზონი მირიანი (ბექაური), მღვდელი ტიმოთე (ბაკურაძე)...

სამწუხაროდ, ჩვენ სრული სიზუსტით არ შეგვიძლია აღვიდგინოთ მარტყოფის მონასტერში დატრიალებული ტრაგედიის სურათი, მაგრამ ვერსიების დონეზე შეიძლება მსჯელობა. კათალიკოსი კირიონი შიდასაეკლესიო ინტრიგების მსხვერპლია...

დამნაშავენი დაუსჯელნი და აღზევებულნი აღმოჩნდნენ.

ელდარ თავბერიძე

საქართველო ბრესტის ზავიდან ბათუმის კონფერენციამდე

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დაიდო საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის. კონფერენციაზე თურქეთმა პრეტენზიები წამოაყენა ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქებზე იმ საბაბით, რომ ეს ტერიტორია ოთხი საუკუნის განმავლობაში გვეკუთნოდა და 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით, იძულებით წაგვართვესო. ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას არ ესწრებოდა ამიერკავკასიის დელეგაცია და თურქეთმა დაარწმუნა გერმანია თავისი მოთხოვნის კანონიერებაში.

2 მარტს, როცა ამიერკავკასიის დელეგაცია აპირებდა თბილისიდან ტრაპიზონში გამგზავრებას, ამიერკავკასიის კომისარიატის თავჯდომარემ ე. გეგეჭკორმა ბრესტ-

ლიტოვსკიდან მიიღო რუსეთის საბჭოთა დელეგაციის მდივნის კარახანის შემდეგი შინაარსის დეპეშა: "თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები". ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სეიმმა გამოყო დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა ტრაპიზონში თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად.

1918 წლის 14 მარტიდან 14 აპრილამდე ტრაპიზონში მიმდინარეობდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელი იყო აკაკი ჩხენკელი. ამ უკანასკნელთა გეგმა ითვალისწინებდა შეთანხმებას 1914 წლის სასაზღვრო ფარგლებში. თურქეთის მხარე კი მოლაპარაკების წინაპირობად მოითხოვდა ბრესტის ხელშეკრულებით მითითებული ტერიტორიის დაცლას, ამასთან ამიერკავკასიის მთავრობასთან მოლაპარაკებას შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იურიდიულად იქნებოდა აღიარებული. ტრაპიზონის კონფერენცია ჩაიშალა.

1918 წლის 22 აპრილს სეიმმა დაადასტურა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. იმავე დღეს გადაწყდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკება განახლებულიყო ბათუმში. ბათუმის კონფერენცია 1918 წლის 11 მაისს შეუდგა მუშაობას. ამ დროისთვის ამიერკავკასიას იმდენად უჭირდა, რომ მთავრობა დათანხმდა ეცნო ბრესტის საზავო პირობები და მის საფუძველზე წარმართულიყო მოლაპარაკება. საქართველოს მოვლა-პატრონობის თაოსნობა ხელში აიღო ეროვნულმა საბჭომ, მისი სახელით ა. ჩხენკელმა მოლაპარაკება გამართა გერმანიის დელეგაციასთან, რომელიც ბათუმში ჩამოვიდა, როგორც შუამავალი. ამ დროს გერმანია-თურქეთის კავშირს ბზარი ქონდა გაჩენილი. 1918 წლის 19 მაისს ა. ჩხენკელმა ოფიციალურად მიმართა გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელს ფონ ლოსოვს ჩარეულიყო ამიერკავკასია-ოსმალეთის დავაში, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. საქართველოს ურთიერთობას გერმანიასთან მყარი საფუძველი ექნებოდა, თუ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. 25 მაისს ეროვნულ საბჭოს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ა. ჩხენკელი იუწყებოდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, რათა თურქეთისათვის დაეპირისპირებინათ გერმანიისაგან ზურგგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო.

1918 წლის 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის სეიმი და იმავე დღეს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1918 წლის 21 ივნის ბათუმში ოსმალეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ბათუმსა და ბათუმის ოლქებს ოსმალეთი დაეუფლა, მაგრამ ოსმალთა ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ვინაიდან ოსმალეთმა I მსოფლიო ომში მარცხი განიცადა და იძულებული გახდა ჯარები გამოეყვანა ოკუპირებულ ქვეყნებიდან და მათ შორის საქართველოდანაც. 1918 წლის ბოლოს ოსმალთა ჯარმა დატოვა ბათუმი და ბათუმის ოლქი.

ზეინაბ კიკვიძე

თებერვალ-მაისის ოპოზიციური კონოტაციები ქართულ პოეზიაში

კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ისტორიული ფაქტები ხშირად თარიღებით რჩებიან ადამიანთა მეხსიერებაში. შედეგად ესა თუ ის მოვლენა სამეტყველო სფეროში კონკრეტული დღის ან წლის სახელით ფორმდება და შემეცნებაში ახალი კონოტაციით მკვიდრდება. 26 მაისი და 25 თებერვალი ის თარიღებია, რომელთა კონოტაციური მნიშვნელობა ყველასათვის ცნობილია. 1918 წლის მაისში გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საკმაოდ მოკლე დროში, 1921 წლის თებერვალში რუსეთის წითელმა არმიამ გააცამტვერა.

ქართულ პოეზიაში სხვადასხვა დროს ეს მოვლენა სხვადასხვაგვარი ემოციით წარმოჩინდა. როგორც მოდერნისტულ ეპოქაში, ასევე საბჭოთა იდეოლოგიის დროს, ან კიდევ

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აღნიშნული ორი თარიღი ამბივალენტური პოზიციებისა და დამოკიდებულებების აღმნიშვნელებად გამოიყენებოდა. სხვადასხვაგვარად გაიგებოდა თებერვლისა და მაისის სიმბოლური დატვირთვაც.

ქართულმა პოეზიამ უმეტესად მოცემულ სიმბოლოთა კონოტაციებში ჩატვირთა გაზაფხულისა და ზამთრის სემანტემები - სიცოცხლისა და სიკვდილის მოდიფიკაციით. ასეთი მნიშვნელობები ფიქსირდება კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, კოტე მაყაშვილის, ალექსანდრე აბაშელის ლექსებში.

მწერლობაში ჩნდება ახალი შესიტყვება - მაისის დაზამთრება - რაც პოეტურად ზუსტად ასახავს იმ სავალალო პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ანექსიას მოჰყვა.

სულხან კუპრაშვილი

ქუთაისი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში

ქუთაისი თავისი მრავალათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საქართველოს ცხოვრებაში. ქვეყნის უძველესი ქალაქი ყოველთვის იყო მხარის, რეგიონისა თუ ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქუთაისი გუბერნიის ცენტრი იყო, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. ქუთაისის გუბერნია ადმინისტრაციული და ტერიტორიული ცვლილებებით არსებობდა 1846 წლის 14 დეკემბრიდან 1921 წლის 10 აპრილამდე, რადგანაც დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქაში კვლავ ძალაში რჩებოდა საქართველოს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაყოფის პრინციპი.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქუთაისი არ ჩამორჩა საერთო ეროვნულ-აღმაფრენას. ქალაქში იმართებოდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გამოხატავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას ახლადშექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნისადმი.

ქალაქის მოსახლეობა პრაქტიკული საქმიანობითაც იყო ჩაბმული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. პირველ რიგში დაიწყო ღონისძიებების გატარება ოსმალეთის მთავრობის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ წარმოდგენილი ულტიმატუმის გამო წარმოშობილი საფრთხის აღმოსაფხვრელად. 1918 წლის 29 მაისს ქუთაისის გუბერნიის კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა ჩაატარა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი. გამოცხდდა 19-დან 35 წლამდე ასაკის პირთა მობილიზაცია. აღნიშნულ პროცესს აქტიურად გამოეხმაურა გასაწვევთა მთელი შემადგენლობა.

1918 წლის 30 ივლისს ქუთაისში გერმანული სამხედრო ნაწილები შემოვიდნენ, დაახლოებით 1500 მებრძოლი, რომლებიც დააბინავეს: კლასიკურ (ახლანდელი 1-ლი საჯარო სკოლა) და ქართულ (ახლანდელი მე-2 საჯარო სკოლა) გიმნაზიებში და სასტუმროებში - "გრანდ ოტელი", "ფრანცია" და "პალას ოტელი". 1918-1921 წლებში ქუთაისში არსებობდა შრომის ბირჟა, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ქალაქში უმუშევრობის აღმოფხვრა, თუმცა სამუშაო ადგილების სიმცირის გამო შრომის ბირჟის საქმიანობა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერის ფარგლებში ქუთაისს 1920 წლის 25 აგვისტოს ეწვია ევროპელ სოციალ-დემოკრატიული პარტიების დელეგაცია.

სამწუხაროდ, ქუთაისშივე დასრულდა საქართველოს დამოუკიდებლობელი რესპუბლიკის არსებობა. საბჭოთა ჯარების მიერ თბილისის აღების შემდეგ საქართველოს მთავრობა ქუთაისში გადმოვიდა. 1921 წლის 10 მარტს დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ დატოვა ქუთაისი. 15-16 მარტს გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან და

დაიდო დროებითი ზავი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. მალევე ახალმა ხელისუფლებამ ქუთაისში დაიწყო პოლიკური რეპრესიები, რომელსაც ქუთაისის მრავალი მოქალაქე შეეწირა.

ნესტან კუტივაძე

1990-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ვითარება და ლიტერატურული ზღაპარი

ქართული ლიტერატურული ზღაპრის გენეზისს შესაძლებელია თვალი გავადევნოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ეს ჟანრი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებების გამო საქართველოში ისევე, როგორც უცხოეთში, წარმატებით გამოიყენეს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების წარმოსაჩენად (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა). XX საუკუნის დასაწყისი ამ კუთხით არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით, თუმცა იქმნება საყურადღებო ტექსტებიც (ნ. ლორთქიფანიძე, ს. ცირეკიძე, შ. არაგვისპირელი, ალ. აბაშელი...), განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ს. კლდიაშვილის "ლახუნდარელის თავგადასავალი". XX საუკუნის 60-70-იანი წლები სხვა საგულისხმო ტენდენციებთან ერთად გამოირჩევა ლიტერატურული ზღაპრის განვითარების მხრივაც. ამ პერიოდში და მოგვიანებით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა არაერთმა მწერალმა შექმნა ამ თვალსაზრისით საყურადღებო ნაწარმოებები (ა. სულაკაური, ო. იოსელიანი, ლ. ბოლქვაძე, გ. პეტრიაშვილი, ნ. გელაშვილი....), მათი ნაწილი დღემდე აგრძელებს მოღვაწეობას.

არცერთ ეპოქაში ლიტერატურული ზღაპრის პრობლემატიკა მოწყვეტილი არ ყოფილა იმ ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელშიც ავტორი ცხოვრობდა. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არ ყოფილა არც XX საუკუნის ბოლო ათწლეული. გვინდა გამოვყოთ ორი ავტორის (დავით ზურაბიშვილი - "მონტებულსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა", ლადო კილასონია - "აბლაბუდას ზღაპარი", "დაე ვერ მპოვოს ურჯულომ"...) რამდენიმე საგულისხმო ტექსტი, რომელთა საფუძველზეც, გარდა იმისა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურული ზღაპრისათვის ნიშანდობლივი რამდენიმე მხატვრული ტენდენციის გამოკვეთაა შესაძლებელი, კარგად რეკონსტრუირდება 1990-იანი წლების საზოგადოებრივი ვითარება და მასთან დაკავშირებული ტრაგიზმი, ასევე ყოველდღიურობის ჩვეულებრივი დეტალები და ამ გზით იქმნება საკმაოდ სრულყოფილი სურათი. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ლიტერატურული ზღაპრის ტექსტი მუდმივად ტრანსფორმირდება დროის შესაბამისად, მაგრამ უცვლელი რჩება ძირითადი კონცეპტები - ჰუმანისტური იდეალები.

თეონა ლომიძე

„ცისფერყანწელთა" ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი საკითხი

XX საუკუნის 10-20-იან წლებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული მწერლობის ისტორიაში. ეს პერიოდი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს მიერ 1918 წელს დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით არაერთმა ქართველმა მწერალმა, მათ შორის „ცისფერყანწელთა"

ლიტერატურული დაჯგუფების წარმომადგენლებმაც, შექმნეს მრავალი საგულისხმო ნაწარმოები. ისინი იმდენად აქტიურად აღმოჩნდნენ მაშინდელი მოვლენების ეპიცენტრში, რომ ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით ფიზიკურადაც კი შეეწირა საკუთარ სიმბოლისტურ გამოცდილებას. ეროვნული პრობლემატიკის გააზრების მხრივ „ცისფერყანწელთაგან" განსაკუთრებით საინტერესოა ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ნიკოლო მიწიშვილისა და სანდრო ცირეკიძის შემოქმედება.

მათ მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია წარსული ეპოქის ფრაგმენტებს, რითაც ისინი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობენ ჩვენი ქვეყნის იმ პერიოდზე, როცა იგი თავისუფალი და ძლიერი იყო. ზემოთ დასახელებულმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხსაც. ზოგიერთი მათგანი ევროპულ ორიენტაციას უჭერდა მხარს, ზოგი - აზიურს, ზოგი კი ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიკვეთა მათ პუბლიცისტიკაში.

„ცისფერი ძმობის" წევრებმა წინა პლანზე წამოწიეს საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და დოკუმენტური სიზუსტით წარმოაჩინეს იმჟამინდელი უსამართლობის დამადასტურებელი ფაქტები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედება. „ცისფერყანწელთა" მიერ ეროვნული პრობლემის გააზრება ნათლად შეგვაგრძნობინებს მათ მისწრაფებას - ქვეყანა კვლავაც იყოს თავისუფალი, გაბრწყინებული და ძლიერი.

მარიამ მარჯანიშვილი

დამოუკიდებლობის დღე ქართული ემიგრანტული ჟურნალის - „კავკასიონის" ფურცლებზე

უკვე საუკუნე შესრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღიდან, რომელსაც თავისი, განსაკუთრებული, სიმბოლური დატვირთვა აქვს იმით, რომ ისტორიის სვლა და სახეობა ცვალებადია, მაგრამ უფრო ცვალებადია ის, თუ როგორ იწერება ეს ისტორია.

ამ განასერში ჭეშმარიტების ძიებით განვიხილეთ პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონის" ფურცლებზე დაბეჭდილი ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოგონებები, რომლებშიც საქართველოს ისტორიის ეპოქალური მოვლენებია გაშუქებული. რამეთუ წარსული მხოლოდ მაშინ არის გაკვეთილი მომავლისათვის, როცა იგი ობიექტური სისწორით იქნება შესწავლილი, როცა ამ წარსულიდან არაფერი არ იქნება დამალული.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოგონებები უპირველესად გვხიბლავს თავისი სიწრფელით, შედარებით უცნობი ფაქტების სიზუსტით აღწერით, მათი სულიერი სამყაროს სისავსით წარმოჩენით. ემიგრანტთა ცნობიერების ნაკადში დანახულ დამოუკიდებლობის დღის გამოცხადების ბედნიერების წუთებისა თუ სიხარულის აღწერას თან ახლავს შემდგომი პროცესებით განპირობებული „ტრამვული ცნობიერების" გამომხატველი ეპიზოდებიც.

საერთოდ, ემიგრანტთა მოგონებებში გახსენების ნაკადი ორი პარალელური ხაზით ვითარდება: ერთია მოგონებები სამშობლოზე, მის დამოუკიდებლობაზე, რომელიც ქართველი ერის აღმაფრენის წუთებთანაა დაკავშირებული, მეორეა - საბჭოთა ყოფის ამსახველ მეხსიერებით არსენალთან დაკავშირებული „ტრავმული ცნობიერება", რაც

თავისუფლებადაკარგული სამშობლოს დატოვებით გამოიხატება. ორივე მოვლენა რეალობაა, მაგრამ მტკივნეული განცდა უფრო სამშობლოში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება.

ამდენად, ჟურნალ „კავკასიონის" ფურცლებზე დაბეჭდილი მოგონებები უდავოდ ჭეშმარიტების გზის ძიების დასაწყისი გახლდათ სამანს იქით და სამანს აქეთაც.

მაგული ნიკოლაძე

ეროვნული გმირი – მერაბ კოსტავა

არიან ადამიანები, რომლებმაც ქრისტეს ათი მცნებით იცხოვრეს, ნათელი კვალი დატოვეს ამქვეყნად და მათი სიცოცხლე სამზეოზე განრიდების შემდეგ კვლავაც გრძელდება. ასეთი პიროვნებები, ალბათ, ღვთისაგან ხელდასმულნი არიან, რომელთაც დიდი მოქალაქეობრივი მისია აკისრიათ, რომ იცხოვრონ და იღვაწონ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ასეთი გახლდათ ღირსეული მამულიშვილი, ეროვნული გმირის ყველა თვისებით შემკული, ერის სინდისი და პატიოსნება - მერაბ კოსტავა, რომელმაც ყველაფერი შესწირა სამშობლოს: ახალგაზრდობა, პირადი ცხოვრება, ოჯახი, შვილიც კი და ბოლოს საკუთარი სიცოცხლეც.

მერაბ კოსტავა ჯერ კიდევ პატარა ბავშვი ეზიარა მაღალ იდეალებს ჯერ თავის, შემდეგ დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, კოლხურ, კოშკში; დიდი მწერლის ერთადერთი ვაჟი - ზვიადი მისი სულიერი, „ქრისტესმიერი", ძმა იყო. აქ შთააგონებდნენ მათ, ქართველ კაცს თუ როგორ უნდა უყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა იბრძოლოს მის გასათავისუფლებლად იმპერიალისტური რუსეთის ბორკილებისაგან. 16-17 წლის სკოლის მოსწავლე მერაბ კოსტავას 1956 წელს პოლიტიკური საქმიანობისათვის აპატიმრებენ. გათავისუფლების შემდეგ იწყებს ბრძოლას ადამიანის უფლებების დაცვის და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. 1977 წელს ის რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ქმნის ჰელსინკის ჯგუფს საქართველოში. 1977 წელს მას ზვიად გამსახურდიასთან ერთად კვლავ აპატიმრებენ. მან ათ წელზე მეტი დაჰყო ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, მაგრამ იქ აუტანელმა რეჟიმმა, ტანჯვამ და განსაცდელმა მაინც ვერ გატეხა მისი უდრეკი სული და ნებისყოფა. პატიმრობიდან იგი უფრო შემართებული დაბრუნდა და შეუდგა ქართველ ხალხში მინავლებული ეროვნული სულის გაღვივებას. ის იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. იგი პირველი შეება მტერს ცხრა აპრილის ღამეს, პირველი გაიჭრა აფხაზეთშიც ძმათა სისხლისღვრის აღსაკვეთად, პირველი წავიდა მესხებთანაც უმძიმესი ქართული საქმის მოსაგვარებლად და კიდეც შეეწირა ამ საქმეს. იგი ტრაგიკულად დაიღუპა (გაურკვეველ ვითარებაში) და ვერ მოესწრო ნანატრ თავისუფლებას. თუმცა ერის სათაყვანო გმირთან სიკვდილს რა ხელი აქვს? მერაბ კოსტავამ დიდი ილიასა და აკაკის გვერდით ჰპოვა ღირსეული ადგილი.

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე

ზვიად გამსახურდია -
საქართველოს დამოუკიდებლობისათვი მებრძოლი

„მთელი ჩემი სიცოცხლე ერთი შეუწყვეტელი ბრძოლა იყო. ბრძოლა მძიმე, საშინელი და სასტიკი. უკანასკნელი დღეებიც უზომოდ ტანჯვად გადამექცა. ჩემს პირად ცხოვრებაშიც რაც უნდა დიდი ცოდვა ჩამედინა, - ამ ტანჯვას შეეძლო მისი გამოსყიდვა" (ჰაინრიხ ჰაინე). სწორედ ეს სიტყვები მიესადაგება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქს, დისიდენტს, ადამიანის უფლებათა დამცველს, პოეტს, ბელეტრისტს, მთარგმნელს,

რუსთველოლოგსა და თეოლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს - ზვიად გამსახურდიას.

დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ სიყრმიდანვე ჩაუნერგა თავის ერთადერთ ვაჟს სამშობლოსადმი სიყვარული და მისადმი თავდადება. ზვიადი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როდესაც ფეხი შედგა ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლისა და თავგანწირვის გოლგოთის გზაზე. ჩვიდმეტი წლისაც არ იყო, როდესაც პირველად მოათავსეს ციხის ნესტიან საკანში, თუმცა ამან ვერ გატეხა მისი და მისი მეგობრების მეამბოხე სული.

1956 წლის 9 მარტს ზვიადი მოწმე გახდა საშინელი ძალადობისა საკუთარ ხალხზე, როდესაც თბილისის ქუჩებში დახვრიტეს ქართველი სტუდენტები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. უკვე იმ წლებში ზვიად გამსახურდიამ შექმნა ოპოზიციონერთა ჯგუფი. იგი დააპატიმრეს; რამდენიმე ხნის შემდეგ გაათავისუფლეს.

1976 წელს მან დააფუძნა ჰელსინკის ჯგუფი. 1977 წელს მას კვლავ აპატიმრებენ და ამჯერად ათავსებენ სერბსკის სახელობის ფსიქიატრიულ სავადმყოფოში მოსკოვთან. სხვადასხვა ციხეების მოვლის შემდეგ გამსახურდიას ბოლოს კასპის ზღვის ჩრდილოეთით ასახლებენ. 1988 წლის 24-29 ნოემბერს ზვიად გამსახურდია თანამოაზრეებთან ერთად ხელმძღვანელობს შიმშილის აქციებს, რომელმაც თითქმის საქართველოს ყველა დიდი ქალაქი მოიცვა. 1989 წლის 9 აპრილს ალესილი ნიჩბებითა და მხუთავი გაზით იმპერიალისტური რუსეთის ჯარმა დახოცა ჩვენი მშვიდობიანი მომიტინგენი. მიტინგის ლიდერები - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა კვლავ დააპატიმრეს.

1991 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი საბჭოთა იმპერიიდან საქართველოს გამოყოფის მოთხოვნით. ეს ყველაფერი 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა. ასე რომ, ზვიად გამსახურდია ოთხ ათეულ მეტ ხანს ებრძოდა რუსეთის იმპერიას. ამ წლების მანძილზე ვერავითარ ტანჯვა-წამებამ, დევნამ და მუქარამ ვერ გატეხა დიდი ზვიადის გმირული სული. იგი სიკდილსაც არად მიიჩნევდა, ოღონდ იმ მიზნისათვის მიეღწია, რაც სიყრმიდანვე მოსვენებას უკარგავდა. ეს იყო ქვეყნის დამოუკიდებლობა და ერთიანობა. იგი ზვარაკად შეეწირა კიდეც ამ საქმეს. სწორედ ზვიად გამსახურდიასა და მისი ქრისტესმიერი ძმის-მერაბ კოსტავას ძალისხმევით აღორძინდა ჩვენში მინავლებული ეროვნული სული და მიაღწია ქართველმა ხალხმა სამშობლოს ნანატრ თავისუფლებას მისი მოწამეობრივი ცხოვრება მაგალითია ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეროვნული პრობლემის ანტიუტოპიური დისკურსი იოსებ ბრიშაშვილის პოეზიაში

მიუხედავად იმისა, რომ აზრის თავისუფლად გამოხატვა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში რუსული მმართველობის არსებობის ყოველ ეტაპზე ჰქონდათ მკაცრად შეზღუდული და შესაბამისი პერიოდის იმპერიული ხელისუფლების მიერ დაწესებული ცენზურული კონტროლით შებოჭილი, მეფის დროინდელ რუსეთსა და საბჭოთა კავშირში ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობანი მაინც მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. კერძოდ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა რეჟიმამდელ პერიოდში აზრის გამოხატვის მხრივ უფრო მეტი თავისუფლება არსებობდა, ვიდრე კომუნისტური მმართველობის დროს.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამდელი დროის ჩვენი მწერლობა გაცილებით ნაკლებკონიუნქტურული იყო, ვიდრე შემდგომი პერიოდისა.

სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერალთა დიდი ნაწილის მსგავსად, ამ მოვლენამ იოსებ გრიშაშვილის (1889-1965 წწ.) შემოქმედებასაც დაასვა მძლავრი დაღი. კერძოდ, 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწერილ მის ლექსებში საკმაოდ დიდი ადგილი დაიმკვიდრა იმ ლექსებმა, რომლებშიც სწორედ იმდროინდელ იდეოლოგიურ მოთხოვნათა შესატყვისი ფორმით იყო განდიდებული საბჭოთა სინამდვილე, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში ეროვნული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობაც.

აღნიშნული ლექსებისგან განსხვავებით, 1910-1920-იან წლებში შექმნილ პოეტურ ქმნილებებში იოსებ გრიშაშვილმა რადიკალურად განსხვავებული სახით გამოხატა თავისი ეროვნული თვალთახედვა. კერძოდ, იმხანად შექმნილ ლექსებში იგი ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ავლენდა თავის კრიტიკულ-ოპოზიციურ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსული ოკუპაციისადმი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამ პოეტურ ქმნილებათა მხოლოდ ნაწილი იყო გამოქვეყნებული, ხალხში ამგვარი სულისკვეთების გამომხატველი მისი დაუსტამბავი პოეტური ქმნილებანი ფართოდ იყო გავრცელებული ხელნაწერების სახით. მათი შექმნის გამო პოეტი არაერთგზის იქცა დევნისა და კრიტიკული განქიქების ობიექტად.

პოეტისადმი ხელისუფლების მესვეურთა და საბჭოთა იდეოლოგიის მსახურ კრიტიკოსთა რეპრესიულმა დამოკიდებულებამ საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ი. გრიშაშვილის პოეტური შემოქმედება აშკარად მოექცა საბჭოთა იდეოლოგიის მარწუხებში.

ოთარ ნიკოლეიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან

1917 წელს რუსეთში მომხდარმა რევოლუციებმა, მოგვიანებით კი პირველი მსოფლიო ომის დასრულებამ, დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია იმჟამინდელ მსოფლიოსა და საერთაშორისო პოლიტიკაში. 1918 წლის 26 მაისს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უმთავრეს ამოცანად ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად დამკვიდრება იქცა. ამ კუთხით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ე. წ. „მოკავშირე სახელმწიფოებთან", უმთავრესად კი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებს სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის მიმართ. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ამერიკული მასალებიდან ნათლად ჩანს, აშშ აქტიურად იყო ჩართული როგორც რუსეთში იმხანად მიმდინარე სამოქალაქო ომის პოლიტიკურ პროცესებში, ისე ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სამომავლო პერსპექტივის განსაზღვრის საქმეში.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ მასალების ნაწილი იქნება განხილული, რითაც ნათლად წარმოჩინდება ის დამოკიდებულება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გააჩნდა იმხანად ჩვენს ქვეყანასთან.

ნატო ნიქაბაძე

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა
და ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება

ქართველი ხალხის მრავალსაუკოვან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გარდამტეხი მოვლენა იყო თებერვლის რევოლუცია (1917). მან არარუსი ხალხებისათვის შექმნა სრული ეროვნული თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ თვითგამორკვევის პრობლემა წინა პლანზე წამოსწიეს ფინეთის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის, უკრაინის ეროვნულ-პოლიტიკურმა ძალებმა. პოლიტიკურ ასპარეზს ამ დროიდან საქართველოში საქართველოში სოციალ-დემოკრატია (მენშევიზმი) დაეპატრონა, რომელიც ეროვნულ საკითხს ისე, როგორც თებერვლამდე, შემდგომაც მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს წინაშე დადგა საკითხი მთელ ამიერკავკასიასთან ერთად საქართველო ან თურქეთის მიერ უნდა ყოფილიყო ოკუპირებული, ან ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს გადაედგათ გადამწყვეტი ნაბიჯი გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

1918 წლის 25 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც მოისმინა ნ. ჟორდანიას მოხსენება, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ფარული კენჭისყრით ერთხმად დადგინდა, მეორე დღეს საჯაროდ გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა.

1918 წ. 26 მაისს 12 სთ-ზე ამიერკავკასიის სეიმმა აღიარა თვითდაშლა თავისი თავის. იმავე დღეს ნაშუადღევს 5 სთ-ზე დარბაზში გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული კრება. დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უაღრესად რთულ ისტორიულ საგარეო ვითარებაში მოუხდა არსებობა. გრძელდებოდა მსოფლიო ომი, აგრეთვე სამოქალაქო ომი და ინტერვენცია რუსეთში, არსებობდა თურქეთის მხრივ აგრესიის საშიშროება.

ამრიგად, 1921 წლის იანვარში უკვე ერთა ლიგამ იურიდიულად ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რითაც საქართველოს დამოუკიდებლობამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

ომარ ნიშნიანიძე

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია საქართველოს დამოუკიდებელი
დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-21 წწ.)

1918 წლის 26 მაისს გამოცხადებელი საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ დაისვა საკითხი არა მარტო ზოგადად პოლიტიკური სისტემის ჩმოყალიბების, და რა თქმა უნდა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების შექმნისა და ორგანიზების შესახებ, არამედ ადგილობრივი მმართველობის ორგანიზების შესახებ.

ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის ფორმის შესახებ მსჯელობდნენ ქვეყნის სათავეში მდგარი პირები. ამ მხრივ საინტერესოა ნოე ჟორდანიას შეხედულება, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა დემოკრატიულ რესპუბლიკას საპარლამენტო რესპუბლიკასთან შედარებით და ამის დასასაბუთებლათ განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ ხალხს თვითონ უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, საკუთარი, მართვა-გამგეობის ორგანოები. ამის შესაძლებლობა კი მხოლოდ დემოკრატიული რესპულიკის პირობებშია შესაძლებელი.

ადგილობრივ მმართველობას დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახორციელებდნენ სამაზრო ერობები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის კანონით 1918 წლის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდნენ. მმართველობის საკუთარი ორგანოები გაიჩინეს ქალაქებმა. ერობები და ქალაქთა თვითმმართველობები აღიარებული იყო საფუძვლად, რომელსაც ეყრდნობიდა მთელი სახელმწიფოებრივი შენობა.

მადონა როგაძიძე

გრაფი შულენბურგი და საქართველო

1911 წელს გერმანელი ოფიცერი, ბრწყინვალე არისტოკრატი და შესანიშნავი პიროვნება გრაფი ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი, გერმანიის გენერალურ კონსულად დანიშნეს თბილისში. სამი წლის განმავლობაში გრაფის კეთილგანწყობა კარგად გამომჟღავნდა ქართველ საზოგადოებასთან ურთიერთობაში. გრაფი პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო თურქეთში გაიწვიეს, მაგრამ მოგვიანებით, მისი გვარი საქართველოს ისტორიაში ისევ გაჟღერდა. 1918 წლის 10 თებერვალს შექმნილი ამიერკავკასიის სეიმის დროებითმა მთავრობამ რუსეთთან ხელშეკრულებების დადების შემდეგ თურქეთში, კონფერენციაზე დელეგაცია გააგზავნა. კონფერენციაზე წყდებოდა ამიერკავკასიის ბედი. გერმანიის მხრიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გენერლები: ფონ ლოსოვი და ფონ შულენბურგი. მაგრამ მათმა შუამდგომლობამ შედეგი ვერ გამოიღო. აპრილში ამიერკავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსებმა დატოვეს კავკასიის ფრონტი. თურქებმა კი ყარსი და ბათუმი დაიკავეს. 8 აპრილს, ჩოლოქზე, ბრძოლის შემდეგ ოზურგეთშიც შევიდნენ და ქუთაისს და თბილისსაც დაემუქრნენ. სწორედ ამ მღელვარე დღეებში თბილისში გამოჩნდა გრაფი შულენბურგი. საბოლოოდ, მოვლენათა მსვლელობა ისე წარიმართა, რომ შულენბურგმა ქართველებს გადასცა გერმანიის ხელისუფლების თანხმობა - დამოუკიდებლობის შემთხვევაში გერმანია სცნობდა მის უფლებებს. 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების დროს, პარლამენტის პირველ სხდომაში მონაწილეობა მიიღეს გრაფმა შულენბურგმა და მაიორმა კაიზერმა, რომელიც ტრიბუნიდან მიესალმა ახლად დაარსებულ რესპუბლიკას. მალე საქართველოს საზღვრების დასაცავად შემოვიდნენ ბავარიული ბატალიონები ქართულ-გერმანული ლეგიონის ყოფილი მეთაურ-სარდლის გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით. 11 ივლისს ჩატარდა გერმანულ-ქართული ჯარების აღლუმი. ბატალიონებს მოჰყვა გერმანელთა სამხედრო მისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გენერლები - ფონ კრესენშტაინი, ფონ ლორდი, კაპიტანი ეგვამენ კრივერი, გრაფი შულენბურგი და დოქტორი დენვერი. მათ უდიდეს ღვაწლი დასდეს ახალგაზრდა რესპუბლიკას სამხედრო ორგანიზაციის საქმეში. შულენბურგს უშუალო დახმარება გაუწევია გიორგი ანდრონიკაშვილისათვის ეროვნულ არმიაში სამხედრო სატელეფონო კავშირის ორგანიზაციისათვის. თავისი საქმიანობით გერმანელმა ოფიცერმა ფონ შულენბურგმა კეთილი სახელი ჩაწერა საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს და მღელვარე პერიოდში.

იზოლდა რუსაძე

ქუთაისი - ლექსიკოგრაფიის განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელი ქალაქი საქართველოში

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ენაზე მცირე რაოდენობის წიგნები და მათ შორის ლექსიკონებიც იბეჭდებოდა. არადა, ასეთი სახელმძღვანელოების შედგენა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო. ლექსიკოგრაფიული მუშაობის წამოწყება თავისთავადი აუცილებლობის გარდა, ქართული ენის ღირსებისა და უფლებების დაცვის ინტერესებითაც იყო განპირობებული და მიმართული იყო იმ რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის გატარებასაც 1881-1885 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელი მმართველი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი ცდილობდა.

აღიარებული ფაქტია, რომ ქართულ ენაზე წიგნების არქონის გამო რუსები ცუდ დღეში ყრიდნენ ქართველებს. საჭირო იყო ქართულ ენაზე წიგნების შედგენა. პირველი, ვინც ლექსიკონის შედგენის პრინციპები შეიმუშავა, იყო რაფიელ ერისთავი. მან თავისი მოსაზრებები ლექსიკონის შედგენის საკითხებზე გაზეთ „ივერიაში“ (№ 144) გამოაქვეყნა 1880 წელს. ამ პერიოდიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა ლექსიკოგრაფიული საქმიანობა. ინტელიგენციის ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა ქ. ქუთაისმა. 1887 წელს ქუთაისში ვ. ზედგენიძისა და პ. ფერაძის სტამბაში დაიბეჭდა „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“. წიგნი შეადგინეს და გამოსცეს XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისში ჩამოყალიბებული ქართული მწერლობის მოყვარულთა ჯგუფის წევრებმა: კირილე ლორთქიფანიძემ, თომა მთავრიშვილმა, სილოვან ხუნდაძემ, სიმონ ყიფიანმა, პლატონ კვიცარიძემ და სხვებმა. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ცნობილი პედაგოგი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ქართული მწერლობის მოყვარულთა ჯგუფის აქ ჩამოთვლილი წევრები, ყველანი, იყვნენ ქართულ გიმნაზიაში მოღვაწე ინტელიგენტები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საქველმოქმედო საქმიანობაში.

ნაშრომში საუბარია „ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის“ აღნაგობაზე, ს. ხუნდაძის ვრცელ შესავალ წერილზე, რომელიც ავტორმა „ქართული ენის მასწავლებელთა“ საყურადღებოდ შექმნა, ასევე - იმ ტერმინებზე, რომლებიც არსებობდა მაშინდელ გრამატიკულ ლიტერატურაში და რომელთა ნაწილი დღესაც გამოიყენება. ამ ლექსიკონის გამოცემით დიდი საქმე გააკეთეს ქ. ქუთაისში, რადგანაც ეს იყო პირველი ლექსიკონი, რომელიც დაიბეჭდა ჩვენს ქალაქში და ამით ქ. ქუთაისი ლექსიკოგრაფიის განვითარების ერთ-ერთ ფუძემდებლად აქციეს საქართველოში.

რადა სადილოვა

გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩი) ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში

პოლონური წარმომავლობის პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი) დაიბადა 1855 წელს ქუთაისში. მისი პაპა, პოლონეთის 1830 წლის აჯანყების მონაწილე, რუსეთის მეფის მთავრობას დასჯის მიზნით საქართველოში გადმოუსახლებია თავის ოჯახთან ერთად. დედა გიორგის ქართველი ჰყავდა - მაია მანუჩარის ასული მიქელაძე (გ. ზდანოვიჩის ლიტერატურული ფსევსონიმი – მაიაშვილი - დედის სახელიდან წარმოდგება).

წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია 1871 წელს. იმავე წელს იგი პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, ხოლო 1873 წელს სასწავლებელად პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გადავიდა ქირურგიის საფუძვლიანად დაუფლების მიზნით. 1874 წელს მოსკოვში მიემგზავრება. ამავე წელს იგი

რევოლუციური ორგანიზაციების წევრი ხდება, მეტსახელით „რიჟა". 1875 წელს რევოლუციური მოღვაწეობისათვის დააპატიმრეს; 1877 წელს სხვებთან ერთად „50-იანელების" პროცესზე გაასამართლეს და მიუსაჯეს ციმბირში გადასახლება 6 წლითა და 8 თვით; პატიმრობაშივე დაიწყო პუბლიცისტური საქმიანობა, რითაც უშუალო კავშირს ამყარებდა საზოგადოებასთან და ზრუნავდა მათი ეროვნული სულისკვეთების ამაღლებაზე. ჯერ პატიმართა ხელნაწერ ჟურნალში აქვეყნებდა წერილებს, 1886 წელიდან ცხოვრობდა ტომსკში და ხელმძღვანელობდა „სიბირსკაია გაზეტას"; 1883 წლის 15 მაისის მანიფესტით გ. ზდანოვიჩს თავისუფლება მიენიჭა, მაგრამ სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნების უფლება არ მისცეს, ჯერ სემიპალატინსკში, ხოლო შემდეგ ტომსკში ცხოვრობდა.

1889 წელს დაბრუნდა საქართველოში და ქუთაისში დასახლდა. მეფის საპყრობილეებში ხანგრძლივმა ყოფნამ ოდნავაც ვერ გატეხა მისი მებრძოლი, შეუდრეკელი ეროვნული სულისკვეთებით სავსე სული. იგი ჩვეული ენერგიითა და მგზნებარე ტემპერამენტით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ის ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნული განვითარების საქმეს მთელი თვისი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა.

გიორგი ზდანოვჩს, სამწუხაროდ, ცოლ-შვილი არ დარჩენია... ასე მარტოხელა გადაეგო 62 წლის ასაკში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 1917 წლის 30 ივლიის გარდაიცვალა. წარმოშობით პოლონელმა კაცმა არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის ეზოში, ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. 1956 წელს კი გადაასვენეს მწვანეყვავილას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

რუსუდან საღინაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918 წ.) და სახელმწიფო ენა

ენა, როგორც ერის, საზოგადოების არსებობის გამოხატულება, საფუძველია ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა, მისი სიმტკიცისა და ერთიანობისა. თუ ამ თვალით გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ ამ მხრივ ისევე იყო ჩართული ქართული ენა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ქარტეხილებში, როგორც თვით ქართველი ერი. იყო გამონათების პერიოდებიც, იყო დრო, როცა ფეხზე დგებოდა ქვეყანა და მასთან ერთად ძლიერდებოდა მისი სიმტკიცისა და ერთიანობის საფუძველიც. ასე იყო ფარნავაზ მეფის ეპოქაში, როცა „არდარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა..." როგორც გიორგი მერჩულე გვამცნობს, ასე იყო X საუკუნის საქართველოშიც: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების..." ქართული ენის აღზევება უკავშირდება, აგრეთვე, დიდი დავითისა და თამარ მეფის ეპოქებს. ამის გამოხატულებაა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" - სიმბოლო ქვეყნისა და ენის ერთიანობისა.

მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო ბრძოლასა და ჭიდილში. იბრძოდა ერიც და მასთან ერთად ენაც. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო", - აღმოხდა ქართველს და „მამების" ხელში გამონატარები ქართული ენა „შვილებმა" ჩაიბარეს „ლაზარესავით" გასაცოცხლებლად,

აღსადგენად. ასე მზადდებოდა „სამოციანელთაგან” ნიადაგი ერისა და ენის ასაღორძინებლად. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამი წლის შემდეგ, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ იქნა ძირითადი კანონი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა.

მოხსენებაში ვრცლად იქნება გაანალიზებული ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ტარიელ ფუტკარაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის როლისათვის "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მიერ 1919 წელს ორგანიზებული ყრილობის მომზადებაში

1918 წლის აპრილში ბათუმში ოსმალეთის საოკუპაციო ჯარის შესვლის შემდეგ აჭარის მკვიდრთა აქტიურმა ნაწილმა, რომელმაც კარგად იცოდა როგორც მშობლიური კუთხის, ასევე, ზოგადად, საქართველოს ისტორია, ოკუპირებული ტერიტორია დატოვა და სამოღვაწეოდ თბილისში გადავიდა. მათ 1918 წლის 15 მაისს საქართველოს დედაქალაქში დაარსეს **"სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი";** თავმჯდომარედ აირჩიეს მემედ აბაშიძე; წევრებად: ჰ. აბაშიძე (მოადგილე), ს. დიასამიძე (მდივანი), ხ. თხილაიშვილი, კ. შერვაშიძე, ზ. აბაშიძე, ს. ბაჟანიძე, ქ. ნოდაიდელი, ი. ქათამაძე და სხვ. კომიტეტმა თავისი პოლიტიკური მრწამსი ჩამოაყალიბა დოკუმენტში: "პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა", რომელიც 3 თავისა და 79 მუხლისაგან შედგებოდა. **"სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მიზანი იყო არა მხოლოდ აჭარის, არამედ ოსმალეთის მიერ ოკუპირებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.** 1919 წლის 3 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა "ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა", რომელმაც აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი (საბჭო) მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით. ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში "ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების" ყრილობის დადგენილებები სხვადასხვაგვარადაა შეფასებული.

ვფიქრობთ, დადგენილებების შინაარსი და პირველი დადგენილების (31.08.1919 წ.) სამი ვარიანტიდან ხელმოუწერელი ორი ვარიანტის თბილისში არსებობა ცხადყოფს, რომ "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა" დადგენილებების ტექსტები ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოამზადდა; კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ტექსტებში, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციასა და 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებული მუსლიმანი ქართველების ყრილობის დადგენილებებში ავტონომიის კონტექსტით წარმოდგენილია ერთნაირი მიდგომა, რაც გამოხატულია **იდენტური ტერმინოლოგიით. ტექსტების ერთგვაროვნობა** ათვალსაჩინოებს **საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისა** და **"სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის"** საერთო მიზანს - საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას - **ოსმალეთის მიერ ოკუპირებული**

მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (და არა - მხოლოდ აჭარის!) **შემოერთება დედასამშობლოსთან.** ამავე დროს, ორივე მხარეს სურდა რუსეთის იმპერიის მიერ დატერორებული მუსლიმანი ქართველების ნდობის მოპოვება და მათი ინტეგრირება ქართულენოვან სახელმწიფოში. მრავლისმეტყველი ფაქტია ისიც, რომ ბათუმში მიღებული ორივე დადგენილება საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაადასტურა 1 სექტემბერსვე.

წარმოდგენილი თვალსაზრისის დასაბუთების მიზნით მოხსენებაში შეპირისპირებულია დადგენილებების პროექტებისა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული თანამდევი დოკუმენტების ტექსტები.

კახაბერ ქებულაძე

1924 წლის ამბოხების ისტორიისათვის ოკრიბაში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ახალი დროის ისტორიაში. ეს ნიშნავდა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ქართველი ხალხის, მისი სახელოვანი შვილების ოცნების ასრულებას, ერის მიერ დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას.

ვიდრე ამ სანუკვარ ოცნებას ფრთები შეესხმებოდა, ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რთულ და მძიმე გზაზე გმირობისა და თავდადების საუკეთესო მაგალითი გამოავლინა. ბუნებრივია, რომ იმერეთი აქტიურად იყო ამ პროცესებში ჩართული და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამიოდე წელი იარსება. ახლადშექმნილმა საბჭოთა იმპერიამ იმთავითვე „იზრუნა", რომ საქართველო იმპერიის შემადგენლობაში შეეყვანა. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ხოლო ქართველი ხალხი ამჯერად საბჭოთა იმპერიის კოლონიური უღლის ქვეშ მოექცა.

1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა გამოსვლები, რასაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის, იმერეთშიც, ფართო ხასიათი ჰქონდა, წარმოადგენდა 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის გამოძახილს - ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას ბოლშევიკური რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მალვინა შანიძე

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების დაწყებითი საფეხურის მშობლიური ენის სახელმძღვანელოები და სასწავლი ტექსტები

მას შემდეგ, რაც „სასწავლო კომიტეტის“ თავმჯდომარეობა პროფ. ივ. ჯავახიშვილს დაეკისრა, მისი პირადი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ახალი სკოლისთვის მეცნიერული, ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნისა და სწორი ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეს. 1920 წელს ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენი უახლესი მიზანია სკოლას ავაცილოთ უვარგისი სახელმძღვანელო და სამაგიეროდ მივცეთ საღი და შესაფერისი“.

დასავლეთ საქართველოს მაზრებში ი. ოცხელის, მ. მთავრიშვილისა და ს. ყიფშიძის მიერ შედგენილი „გუთნით“ ისწავლებოდა ქართული ლიტერატურა (1917 წ.), 1918 წლიდან კი - ზ. ხუნდაძის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოთი. 1923 წელს გამოიცა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელო „განთიადი“- 79 ტექსტით, 1925 წლისათვის - „ცისკარი,“ რომელშიც სასწავლო მასალის მოცულობა ორჯერ გაზრდილიყო და თემატიკაც გაეუმჯობესებინათ. ამავე წელს მამა-შვილი ტრიფონ და შალვა თაბუკაშვილებიც გამოსცემენ ქართული ენის ილუსტრირებულ სახელმძღვანელოს სახელწოდებით „აისი.“ წიგნის ავტორებს სახელმძღენელოს მთავარ მიზნად ენის შესწავლა დაესახათ, მიზნის მისაღწევ გზად კი - მეტი კითხვა და ლიტერატურის გაცნობა.

1924-1925 სასწავლო წლიდან სკოლების დაწყებით საფეხურზე „კომპლექსური“ პროგრამების დანერგვა დაიწყო. ამის საფუძველზე დაიბეჭდა მასწავლებელთა ჯგუფის მიერ გამოცემული „ჩვენი მხარე.“ მასწავლებელთა ჯგუფმა 1927 წელსაც გამოსცა „ჩვენი მხარე,“ რომელიც გამოირჩეოდა მოცულობითაც და დავალებების სირთულითაც.

ამავე წელს შ. თაბუკაშვილმა, ნ. კეცხოველმა, ო. შარაბიძემ და ო. ჭეიშვილმა სოფლის სკოლებისათვის შექმნეს მე-3 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო „ახალი სოფელი.“ ამას მოჰყვა მასწავლებელთა ჯგუფის მიერ 1930 წელს შედგენილი „შრომა“ და „ახალი ქალაქი.“

1932 წელს მასწავლებელთა ჯგუფმა: თ. ასლანიშვილის, პ. ხუბუტისა და კ. გრიგოლიას ავტორობით, ამჯერად „ახალი შრომის“ სახელწოდებით გამოსცა სახელმძღვანელო, რომელიც მომდევნო წელს კიდევ უფრო შეივსო, 1934 წლისთვის კი - 224 გერდამდე გაიზარდა და 1937 წლის ჩათვლით იხმარებოდა სწავლებაში. მე-3-4 კლასების სახელმძღვანელოებში უკვე ადგილი დაეთმო იდეურად გამართულ და მხატვრულ-ენობრივი თვალსაზრისით ასაკობრივად შესაფერის ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს კლასიკური ლიტერატურიდან და საუკეთესო ნიმუშებს ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან. 1938 წლიდან წიგნს „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო“ ეწოდა და 1943 წლამდე ფუნქციონირებდა სწავლებაში. შრომაში განხილულია ზემოთჩამოთვლილი სახელმძღვანელოები, მოძიებული და გაანალიზებულია მათი შედგენის მეთოდები და განხილული ის საინფორმაციო და მხტვრული ტექსტები, რომლებიც სამშობლოს სიყვარულის მოტივებზე იყო შექმნილი.

რეზო შეროზია

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და შემდგომი გამოძახილები (ანუ, ვირზე უკეთესი უნდა იყოს თუ არა ადამიანი?!)

1. ქართველთა შიდაპოლიტიკური თუ სოციალური ვითარება უცხოურ წყაროებში სიმართლით, სწორად აღწერილი ვერ იქნება. დამპყრობლის თვალით დანახული მხოლოდ მისთვის გამოსადეგი და გამოსაყენებელი შეიძლება იყოს. უცხოელი ისტორიკოსები თუ დამკვირვებელები, მითუმეტეს რუსები, 1921 წელს რუსეთის მეორე ინტერვენციას საქართველოში პოლიტიკური კონიუქტურით თუ წარმოადგენენ, თორემ რეალურ სურათს ვერ და არ დაგვიხატავენ.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა მხოლოდ გარე ფაქტორებით არ იყო განპირობებული. ძირითადი მიზეზი კოსმოპოლიტიზმით შეფერადებული სამშობლოს ღალატი იყო. ფაქტობრივად იგი წიწამურის ტრაგედიით დაიწყო და არა წითელი დროშის აფრიალებით თბილისის თავზე. ილიას მკვლელობის შემამზადებელ-განმახორციელებელთა ერთი ნაწილი დამოუკიდებელ საქართველოს ჩაუდგა სათავეში, მეორე ნაწილიკი ინტერვენციას ამზადებდა.

3. 90-იან წლებში რუსულმა მანქანამ სამშობლოს თავისუფლებით მოვაჭრეთა ხელით ზუსტად გაიმეორა 1907-21 წლების ქმედებები. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ ამჯერად ფსევდოდემოკრატიის ფერებით შენიღბა ღალატი, ილიას გზით მავალთა მკვლელობები და ხელსისხლიანთა პოლიტიკური აღზევება.

4. 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დამანგრეველი ტალღები ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. მიზეზი ამისა მხოლოდ ჩრდილოეთის ქარი არაა. ქართველთა ძველი სენი, "უჩემოდ ვით იმღერეთა" არანაკლებ საშიშია. ამიტომ, იქნებ ვკითხოთ ჩვენს თავს, - რამდენჯერ უნდა ჩავვარდეთ ერთსა და იმავე ტყლაპოში?! ადამიანი ნუთუ ვირზე უკეთესი არ უნდა იყოს?! ისტორიამ არაფერი უნდა გვასწავლოს?!

ლელა ჩოგოვაძე

საქართველოს სახელმწიფოს კულტურული სტატუსი სინას ნახევარკუნძულზე

ქართველთა ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობა სინას მთაზე IX საუკუნიდან იწყება და ზენიტს X საუკუნეში აღწევს. ქართველებს სინას მთაზე რამდენიმე მონასტერი დაუარსებიათ. აქ უმდიდრესი ბიბილიოთეკები არსებობდა, რომლებიც მრავალ ასეულ წიგნს ითვლიდნენ. ერთ-ერთი ძველი მწიგნობარი, ბასილ მჩხრეკელი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა: "მონასტერნი სავსენია წიგნითა და არა სადა უწყი ნაკლულევანი". სინას მთაზე ამჟამად 100-ზე მეტი ქართული ხელნაწერი ინახება. მათ შორის ყველაზე ადრინდელია "სინური მრავალთავი" (864 წ.). სინას მთაზე დაცულია ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები: ოთხთავის ხელნაწერები (Sin.-15, Sin-30), ლექციონარი (Sin.-37), აგიოგრაფიული კრებული (Sin.-6), ეფრემ ასურის ქადაგებანი (Sin.-97), საგალობელთა შემცველი ხელნაწერები (Sin.-1, 14, 17, 18, 20, 26, 34, 40, 41, 49, 59, 64, 65), პარაკლიტონები (Sin.-3, 13, 17, 21) და სხვ. ამჟამად იქ ინახება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, გეთსამანიაში, კაპპათაში, გოლგოთაზე, კალიპოსში, საბაწმიდის ლავრასა და ქართველთა სხვა მწიგნობრულ ცენტრებში თარგმნილი და გადაწერილი თხზულებანი, აგრეთვე ის ხელნაწერები, რომლებიც ქართული კულტურის დიდი მოღვაწის იოანე ზოსიმეს მიერ არის

გადაწერილი ან ნარედაქციევი. სინის ქართულ ხელნაწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადრეული ქრისტიანობის სახის შესასწავლად: როდესაც პალესტინიდან წამოვიდნენ ქართველი ბერები სინაზე, თან წამოიღეს ძველი წიგნები და ძველი ტრადიციები, ე.ი. ქრისტიანობის იმ უძველესი ტრადიციებისა და უძველესი ფენების ამსახველი ლიტერატურა, რომელიც შემდგომ თვითონ ბერძნულ წყაროებში ხშირად დაკარგულია. დღეს, ადრეული ქრისტიანობის სახის წარმოდგენისას, ძალიან ხშირად ყურადღებას ქართულ წყაროებს აპყრობენ.

ვლადიმერ წვერავა

საქართველო ბათუმის კონფერენციიდან ფოთის ხელშეკრულებამდე

1918 წლის 3 მარტს ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები უმძიმესი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ქვეყნის შიგნით საბჭოთა ხელისუფლებას გართულებული მდგომარეობა ჰქონდა, რითაც კარგად ისარგებლა გერმანიამ და ზავის პირობებს თანდათან ამძიმებდა. გერმანიამ მიიღო ბალტიისპირეთი, ბელორუსია და უკრაინა, ხოლო ოსმალეთის მოთხოვნით მათ მიეკუთვნათ ყარსის, ართვინის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები.

1918 წლის 10 მარტს ოსმალეთის მთავრობამ მოითხოვა ამიერკავკასიის სეიმს დაეცალა ზემოთ მითითებული ტერიტორიები და დაიწყო მასში ჯარების შეყვანა. მალე ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასია-ოსმალეთის სეპარატიული საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაცია იძულებული გახდა დაეტოვებინა ტრაპიზონი, რადგან ოსმალეთი ისეთ პირობებს აყენებდა, რომელიც მიუღებელი იყო ყველასათვის. ოსმალეთი ერთი მოთხოვნით დელეგაციისაგან მოითხოვდა ამიერკავკასიის ჩამოშორებას რუსეთისაგან.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა დაადასტურა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. იმავე დღეს გადაწყდა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება განახლებულიყო ბათუმში.

ტრაპიზონის მოლაპარაკებიდან ბათუმის კონფერენციამდე ერთი თვე გავიდა. ამ პერიოდში ოსმალეთი ახორციელებდა თავის ჩანაფიქრს, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია ჩაეგდო ხელთ. მათ დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მოახდინეს სამხრეთ საქართველოს მიტაცება.

ბათუმის კონფერენცია 1918 წლის 11 მაისს შეუდგა მუშაობას. ამ დროისათვის ამიერკავკასიას იმდენად უჭირდა, რომ მთავრობა დათანხმდა ეცნო ბრესტის საზავო პირობები და მის საფუძველზე წარმართულიყო მუშაობა. მაგრამ ოსმალეთის მხარე ამ წარმატებას აღარ სჯერდებოდა, იგი ახალ-ახალ პრეტენზიებს აყენებდა, რომელთაც საბოლოოდ ჯამში ოსმალეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია უნდა მოჰყოლოდა.

ბათუმის კონფერენციაზე ოსმალეთის მოკავშირე გერმანიის დელეგაციაც იმყოფებოდა ფონ ლოსოვის მეთაურობით. მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, რადგან ოსმალებს პრეტენზიები უძლიერდებოდათ სუსტი ამიერკავკასიის მიმართ, თან გამოიკვეთა, რომ ამიერკავკასიის შემადგენლობაში მყოფ ერებს, სხვადასხვა მოსაზრება ჰქონოდათ. ასეთ დროს გერმანიის დელეგაციამ სთხოვა ქართულ დელეგაციას, თუ გინდათ ჩვენი დახმარება გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა, რომ გერმანის მთავრობას ჰქონდეს საშუალება და საბაბი თქვენდამი დახმარების. ასე ამგვარად 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. გერმანია ერთგული აღმოჩნდა თავისი სიტყვისა და მან

შეაჩერა ოსმალთის აგრესია საქართველოში. ხოლო 1918 წლის 28 მაისს ფოთში დაიდო შეთანხმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიას შორის. ამ ხელშეკრულების ძალით წარიმართა შემდგომ საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობა, ვიდრე ჩვენდა სამწუხაროდ გერმანია არ დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში 1918 წ. 11 ნოემბერს და იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო.

დავით ფიტაიშვილი

ქრისტიანული და მატერიალური კულტურის ძგლები ზემო იმერეთში (ზესტაფონის რაიონი)

დღევადელი ზესტაფონის რაიონი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა. ადრე კლასობრივი წყობილების დროს - იბერიის ანუ ქართლის სამეფოში, არგვეთის საერისთავოში, ზემო იმერეთის სადროშოში, 1846 წლიდან 1917 წლამდე, მეფის რუსეთის ადმინისტრაციული რეფორმით, ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. 1930 წლიდან საქართველოს ადმინისტრაციული ტერიტორიის დაყოფით გამოიყო დამოუკიდებელ ერთეულად და საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი რაიონია. ზესტაფონის რაიონის ტერიტორია ანტიკური ხანიდან ცნობილია მატერიალური კულტურის ძეგლებითა და მრავალი ისტორიული ადგილით. ზესტაფონის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლებია: შორაპნის ციხე, ტაბაკინის მონასტერი, ზედა წევის წმინდა გიორგის ეკლესია, ზედა საქარის გულბადიანის ეკლესია, სოფელ როდინაულში - მაცხოვრის ეკლესია, პირველ სვირში - წმინდა გიორგის ეკლესია, კვალითში - ბარბარწმიდის ეკლესია, ილემში - წმინდა გიორგისა, შროშაში - შროშის შუა საუკუნეების ციხე და წმინდა გიორგის ქედის ეკლესია. ბოლევში - წმინდა გიორგის ეკლესიისა, ზედა საქარაში - წმინდა გიორგისა ეკლესია.

ტარიელ ჯიღვარია

პოლიტიკური პარტიები და საქართველოს დამოუკიდებლობა პირველი მსოფლიო ომის დროს

1914 წლის 1-ლ აგვისტოს რუსეთი პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე ჩაება, ბუნებრივია საქართველო, როგორც იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ვერ აცდებოდა ამ ომს. მსხვილმა მრეწველებმა და თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა ადრესით მიმართეს იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს და მზადყოფნა გამოთქვეს მტერზე გამარჯვებისათვის მთელი შესაძლებლობით ებრძოლათ.

საქართველოს ინტელიგენციაში სჭარბობდა გერმანოფილური განწყობილება, რასაც ომის დაწყების შემდეგ აღარც მალავდნენ. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ირწმუნა, რომ გერმანიის გამარჯვება აუცილებლად გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა რიცხვი არც მაშინ იყო ცოტა, თავიანთი მიზნებისა და ორიენტაციების გამო ომისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ. უნდა

შევნიშნოთ, რომ ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი გავლენით მაინც ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატები სარგებლობდნენ. გარკვეული გავლენა ბოლშევიკებსაც გააჩნდათ. მათ პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესების ერთადერთი დამცველის ნიღბით 1914 წლის 2 ნოემბერს უყოყმანოდ გაიზიარეს ომისა და რევოლუციისადმი დამოკიდებულების ლენინური ხაზი და ეროვნულობაზე არც კი ფიქრობდნენ.

ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმართულებაში ომისადმი დამოკიდებულების საკითხმა დიდი დავა გამოიწვია. ერთი ჯგუფი (ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი) მხარს გერმანიის გამარჯვებას უჭერდა და მას უკავშირებდა დემოკრატიზაციისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას. ერთ აზრამდე მაინც ვერ მივიდნენ, ნოე ჟორდანია რუსეთისაკენ იხრებოდა. საოქლო კომიტეტის სხდომაზე მან ვრცელი მოხსენება გააკეთა. გარდა ამისა, მან სცადა ანტიგერმანული შეხედუბულებების პროპაგანდა, პრესაში დაიბეჭდა კიდეც ნოე ჟორდანიას წერილი "ომი და ზავი". შემდეგ გაზეთებმა შეწყვიტეს მისი ბეჭდვა. სამაგიეროდ გ. ურატაძემ ქუთაისში გამოსცა გაზეთი "ახალი კვალი", მაგრამ რამდენიმე ნომრის გამოსვლის შემდეგ ეს გაზეთიც აიკრძალა და ჟორდანიაც უმრავლესობის ნებას დაემორჩილა.

ომისადმი დამოკიდებულებაში ერთიანი შეხედულება არ ჰქონდათ არც სოციალისტ ფედერალისტებს, მაგრამ ის არის, რომ პარტიის საპროგრამო მოთხოვნა იყო საქართველოს ავტონომიის განხორციელება, რაც გერმანიისა და რუსეთის გამარჯვებასთან ასოცირდებოდა. პარტიის ორგანო "სახალხო ფურცელი" ომის პრობლემებს დიდი ყურადღებას უთმობდა.

უფრო მისაღები პოზიცია ეჭირათ ეროვნულ დემოკრატებს, მათ ჟურნალ "კლდეს". 1915 წელს "კლდის" საფუძველზე თბილისში დაარსდა ყოველდღიური გაზეთი "საქართველო", ხოლო ქუთაისში გამოდიოდა გაზეთი "სამშობლო", რომელთა ირგვლივ შემოკრებილი იყო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლობა ნ. ნიკოლაძე, ე. თაყაიშვილი, გ. გვაზავა, ს. კედია, რ. გაბაშვილი, გ. ზდანევიჩი და სხვ. სწორედ ეს ადამიანები მოითხოვდნენ ყველა შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები მთელ რიგ საკითხებზე დავისა და უთანხმოების მიუხედევად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ომით შექმინილი ვითარება და საქართველოსთვის მოეპოვებინათ თუ დამოუკიდებლობა არა, პოლიტიკური ავტონომია მაინც, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

მანანა ჭიჭინაძე

წითელ დირექტორთა მხატვრული სახეები მიხეილ ჯავახიშვილის "დამდნარ ჯაჭვსა" და ნიკო შიუკაშვილის „დირექტორ სურმაძეში"

მ. ჯავახიშვილის „დამდნარი ჯაჭვი" და ნ. შიუკაშვილის „დირექტორი სურმაძე" მძაფრი პროტესტია ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ. მათში გამოაშკარავებულია ბოლშევიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მოძღვრების, ანტიჰუმანური ბუნება; ნაჩვენებია, თუ როგორ სპობს ტოტალიტარიზმი ადამიანთა ფსიქიკას და კომუნისტურ ქურაში ჩამოსხმულ-გამოწრთობილ რკინის კაცებში კლავს ყველაფერ ადამიანურს.

წითელი დირექტორები: აპოლონ რაპოლიძე და კომუნისტი სურმაძე პარტიის სათბურში გამოზრდილი კარიერისტები, რევოლუციური იდეალებით დაბრმავებული უსულგულო, მგელკაცები არიან, რომლებსაც საკუთარი არც აზრები აქვთ და არც სურვილები. ისინი საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპროგრამებული, პარტიის დირექტივების უსიტყვოდ

გამტარებელი მონა-რობოტები არიან, რომლებსაც სიყვარული და თანაგრძნობა სისუსტის გამოვლინებად მიაჩნიათ.

რაპოლიძეც და სურმაძეც საბჭოთა ეპოქის ის ღვიძლი შვილები არიან, ვინც „მადლი მატლად" აქცია, ანუ ფასეულობათა აღრევისა და საყოველთაო პროფანაციის ეპოქა შექმნა, „საკუთარი თავისა და ერის რყვნის" სინდრომი დანერგა და ამით ღირსეული არსებობის იდეა მოკლა.

ორივე ნაწარმოებში ნაჩვენებია მძაფრი ჭიდილი წიგნიერებასა და უწიგნურობას, პროფესიონალიზმსა და უვიცობას, პროლეტარულ იდეოლოგიასა და ჭეშმარიტ ეროვნულ-ჰუმანურ პრინციპებს შორის.

დოდო ჯუმბურიძე

ორმხრივი ურთიერთობები 1918-1921 წლებში

(საქართველო-გერმანიისა და საქართველო-ინგლისის ურთიერთობა)

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ საქართველოს სამეფო-სამთავროები ნაწილ-ნაწილ დაიპყრო და უძველესი ქართული სახელმწიფოს ადგილზე რუსული გუბერნიები შექმნა. 117 წელი იბრძოდა ქართველი ხალხი რუსეთის კოლონიური უღლის მოსაშორებლად და დამოუკიდებლობის აღსადგენად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაგვირგვინება გახდა 1918 წლის 26 მაისის აქტი, რომლითაც აღსდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, შეიქმნა პირველი დემოკრატიულ რესპუბლიკა. დამოუკიდებლობისადმი ერის დიდი მისწრაფების გარდა, ეს აქტი საერთაშორისო ვითარებამ და ქვეყნის საშინაო მდგომარეობამაც განაპირობა: პირველმა მსოფლიო ომმა დაშალა ჩვენი მეზობელი იმპერიები – რუსეთი და ოსმალეთი, ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდა ეროვნული თვითგამორკვევა, მეორე მხრივ კი, ომის საბოლოოდ დასრულებამდე საქართველოს დაემუქრა ამ ორი ქვეყნის მხრიდან ახალი ოკუპაციისა და ანექსიის საფრთხე. ურთულეს მომენტში, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, ქართველმა პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ყველამ, ვისაც ესმოდა მომავალი ხიფათის დამღუპველობა, აირჩიეს დამოუკიდებლობა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. ამან ქართველი ერი გადაარჩინა ოსმალეთის ახალ ოკუპაციას, გერმანიის დახმარებით, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით ოსმალეთთან, ჯერ მიიღო ბრესტის პირობები და დათმო ისტორიული ქართული მიწები - არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქი, აგვისტოში კი ეს დანაკარგი კვლავ გერმანიის დახმარებით დაიბრუნა. მოხსენებაში ნათქვამია, რა რისკები ახლდა საქართველოს მიერ აღებულ პროგერმანულ პოლიტიკურ ორიენტაციას მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პირობებში, რა გარანტიები მიიღო მან მოკავშირისაგან და რა მიიღო.

ანტანტის გამარჯვების შემდეგ შეიცვალა საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვექტორები, დიდი სიძნელეები მოჰყვა ინგლის-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზებას, პოლიტიზირებული ბრიტანელი სამხედროები საქართველოში ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდნენ და ქართული დიპლომატია ევროპაში ყველაფერს აკეთებდა დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღიარებისათვის. საქართველოს უჭირდა მანამ, ,ვიდრე კავკასიაში უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე ლორდი კერზონის ინიციატივით არ დაინიშნა ცნობილი ქართველოლოგი და ქართველი ხალხის დიდი მეგბარი - ოლივერ უორდროპი. მან სრულიად შეცვალა ინგლისის დამოკიდებულება საქართველოსადმი, მისი პოლიტიკოსების წარმოდგენები ქართულ პოლიტიკასა და საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. ლონდონში მის მიერ განუწყვეტლივ გაგზავნილი რაპორტებით, ბრიტანელ პოლიტიკოსთა ცნობიერებაში სხვა რეალობა დაიხატა. უორდროპი, ქართული მხარის ნებისმიერ წუხილს, თხოვნასა თუ საჩივარს მაშინვე უგზავნიდა

საკუთარ მთავრობას სტატუსით “სასწრაფო” ან “ძალიან სასწრაფო”. უორდროპი ზრუნავდა საქართველოს ხელისუფლებისთვის ექსტრემისტულ-სოციალისტური იარლიყის მოშორებაზე, რაც ესოდენ საზიანოდ მოქმედებდა ქვეყანაზე. მან ლონდონში გადააგზავნა აგრარული რეფორმის თაობაზე ნოე ჟორდანიას გამოსვლის თარგმანი, კომენტარში კი ახსნა საქართველოს სოციალისტური მთავრობის გაწონასწორებულობა და ზომიერება. ასევე ვრცელი მოხსენება გააგზავნა აკაკი ჩხენკელის თაობაზე, რომელსაც პროგერმანულობის იარლიყი მოაშორა და გერმანელებთან მისი თანამშრომლობა მხოლოდ გამოუვალი პატრიოტული მოტივით ახსნა. 1920 წლის იანვარში ბრიტანეთმა დე-ფაქტოდ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. კერზონის მიერ პარიზის კონფერენციისადმი წარდგენილი მემორანდუმი ეყრდნობოდა უორდროპის რაპორტებს. ამ საერთაშორისო დოკუმენტში პირველად შფასდა 1801 წელს რუსეთის ქმედება საქართველოს ანექსიად. აქვე აღინიშნა წინარექრისტიანული ხანიდან მოყოლებული ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის ფაქტი, ქართველთა როლი ჯვაროსნულ მოძრაობაში, 1907 წელს ჰააგის კონფერენციისადმი ქართველთა პეტიციის წარდგენა, რომელშიც უორდროპს ლომის წვლილი ჰქონდა შეტანილი და სხვ. მიმდინარე ვითარებაზე საუბრისას კერზონი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს ჰყავდა რეგიონში ყველაზე გამოცდილი მთავრობა, და რომ ქართველები არიან თავიანთ მეზობლებზე უფრო ცივილიზებული და ევროპული ფესვების მატარებელნი. მათ ჩააქრეს ბოლშევიკთა ყველანაირი აჯანყება და გაუმკლავდნენ ბათუმის ბრიტანული ადმინისტრაციის საფარქვეშ მოქმედ დენიკინელთა პროპაგანდას”.

1921 წლის იანვარში ბრიტანეთმა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა დე-იურედ აღიარა, რაც უორდროპისა და ქართველი დიპლომატების - აკაკი ჩხენკელის, ზურაბ ავალიშვილის, დავით ღამბაშიძის, მიხეილ სუმბათაშვილის, ანდრია გუგუშვილის, მიხაკო წერეთლისა და სხვათა წარმატებული მოღვაწეობის შედეგიც იყო.

ოთარ ჯუმბურიძე
თინათინ კოსტავა

ეროვნულ ურთიერთობათა საკითხისათვის პოსტსაბჭოურ საქართველოში

სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ეროვნული დიფერენციაცია შენარჩუნებული იქნება მომავალშიც. ჩვენ ვცდილობთ შევინარჩუნოთ მცენარეულ და ცხოველთა სამყაროს გენეტიკური თავისებურება, რადგანაც ვიცით, რომ ყოველი გენტიპი ბუნების უძვირფასესი, განუმეორებელი ქმნილებაა. ასევეა ეთნოსის კულტურა, ენა, თვითშეგნება. ეროვნული კულტურისა და გარემოს ეროვნული შეგნების სფერო კაცობრიობისათვის ფასდაუდებელი რამ არის, რომელსაც ის ეკუთვნის. ყოველი ხალხის კულტურა ყველა ადამიანის კუთვნილებაა. ასეთია რეალობა. მისი აღიარების გარეშე შეუძლებელია ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, ეროვნული ფენომენის გაძლიერება და განვითარება.

საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ მიზნის მიღწევა ადამიანს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ ის გამოიყენებს ბუნების ძალებს და არ წავა მათ წინააღმდეგ. ეთნოსების ევოლუცია, მათი გენეზისი და დაშლა განეკუთვნება იმ ყველაზე ღრმა პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ კაცობრიობის პროგრესს. ჩვენ არ შეგვიძლია ზემოქმედება მოვახდინოთ მათზე, მაგრამ მათი ობიექტური თვისებების ყურადღებით შესწავლა შეგვიძლია და გონივრულად უნდა გამოვიყენოთ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მიზნის შემუშავებისა და გატარებისათვის. და, რაც მთავარია, უნდა გავიგოთ, რომ დაახლოების ტენდენციებითან ერთად, ერების სხვადასხვაობა, მათი თვითმყოფადობა მუდმივად იზრდება და გაიზრდება კიდეც მომავალში. ამისათვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ.

სოფიკო ჭუმბურიძე

გენდერული უთანასწორობა, როგორც სოციალური პრობლემა, ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში

XIX საუკუნის დასასრულის ცნობილი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში კარგად ჩანს ამ ეპოქისათვის ნიშანდობლივი არაერთი მახასიათებელი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გენდერული უთანასწორობა, როგორც სოციალური პრობლემა, რომელიც თავისთავად უკავშირდება ბრძოლას თანასწორობისთვის. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს ღრმა მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა აღწერა გლეხთა ცხოვრება, მათი ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. პროზაიკოსმა მხატვრულად განაზოგადა და გვიჩვენა, როგორ ბადებს სოციალური პრობლემები ხალხში პროტესტის გრძნობას. მწერალი ბრალს სდებს არსებულ წყობილებას, იმ სოციალურ გარემოს, რომელიც აიძულებს პატიოსან, მშრომელ გლეხს მიატოვოს ოჯახი, საყვარელი ადამიანები და თავად აღასრულოს სამართალი. მწერალი გენდერული თანასწორობის საკითხზე მსჯელობისას ობიექტურად წარმოგვიდგენს ქალისა და მამაკაცის მდგომარეობას თავის თანამედროვე საზოგადოებაში, მათს ბრძოლას ვითარების შესაცვლელად. ნინოშვილი მკაფიო სოციალურ-პოლიტიკური, ეთიკური და გენდერული იდეალებით გვევლინება ღრმად ჰუმანისტური მრწამსის მწერლად.

რამაზ ხაჭაპურიძე

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ტრადიციები და ღვინით მკურნალობის ხალხური მეთოდები

(ლეჩხუმის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით)

ბუნების ნაირსახეობამ, რელიეფმა, რომელიც მოიცავს მაღალმთიანეთს, ზეგანს, დაბლობსა და ზღვისპირეთსაც, მდებარეობამ ევროპისა და აზიის გასაყარზე, ისტორიული განივითარების გზამ ხელი შეუწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში ჩამოყალიბებულიყო თავისებური ხალხური ტრადიციები, რომლებიც საერთო ქართულ ტრადიციულ კულტურაში ერთიანდებიან და მის მრავაფეროვნებას განაპირობებენ.

ჩვენ ქართულ ტრადიციულ სამედიცინო კულტურას შევისწავლით და მიზნად ვისახავთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სამკურნალო ტრადიციები გავაცნოთ დაინტერესებულ საზოგადოებას. ამ მხრივ, საინტრესო მასალას გვაწვდის ლეჩხუმის რეგიონი.

საქართველო ვაზის სამშობლოდ და მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება. ვაზის კულტურა საქართველოში არსაიდან არ შემოტანილა. ქართული ვაზის ჯიშები წარმოშობილია ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივ კერაში. საქართველოში გარეული და კულტურული ვაზის ჯიშების გასაოცარი სიმრავლეა.

პირველი კულტურული ვაზი საქართველოში გვხვდება. ქვემო ქართლში, თბილისის სამხრეთით, მარნეულის ველზე, დანგრეული გორას ნასახლარში არქეოლოგემა ძვ.წ. ათასწლეულების ვაზის რამდენიმე წიპწა აღმოაჩინეს. ნივთიერი მტკიცებულებები და არგუმენტები, რომ საქართველო მართლაც ღვინის ქვეყანაა საკმაოდ ბევრია: ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნი ნეოლითური ხანის ქვევრის ტიპის ჭურჭელი, კულტურული ვაზის ნამარხი წიპწები, თიხის საღვინე ჭურჭლის ფრაგმენტებში დალექილი ღვინის მჟავა და კულტურული ვაზის მტვერი, ველურ და აბორიგენულ ჯიშთა მრავალფეროვნება არამარტო წარსულში, ღვინის უნიკალური ჭურჭელი ქვევრი და ქვევრის ღვინის დაყენების დღემდე შემორჩენილი უძველესი ტექნოლოგიები. საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებასთან ერთად

სხვადასხვა რიტუალების შესრულების შემთხვევები სხვადასხვაა: საახალწლოდ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების მიზნით საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი, კვერის სახით ცხვებოდა და მასა გუნას პური ეწოდებოდა. საახალწლოდ ღესასწაულზე სახლეულის მეთაური ჯალაბითურთ, დანთებული თაფლის სანთლებით, შედიოდა მარანში და იქ, სადაც საწნახელი იდგა, თან მიჰქონდა **ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი.** ოჯახის უფროსი ამობრუნებულ საწნახელს თოხის ან ნაჯახის ყუას ურტყამდა და სიმღერით ღვთაებას შესთხოვდა:

(ტექსტი)

“აგუნა, აგუნა გადმიარე,
ბახვი, ასკანა, გადმოიარე,
ჩვენს მამულში ყურძენი,
სხვის მამულში ფურცელი,
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორი
სხვის მამულში კიმპალ-კიმპალი” და ა.შ.

სიმღერა სამჯერ მეორდებოდა და პატარა ტაბლას მიუსხდებოდნენ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კერპთთაყვანისმცემლობის დროს **აგუნა** ნაყოფიერებისა და **სიუხვის** მფარველად იყო მიჩნეული.

ნაზი ხელაია

სამაჩაბლო-აფხაზეთის ტრაგედიები და ქართველი ახალგაზრდობის სულიერი რღვევა

(ლ. თაბუკაშვილის "მერე რა, რომ სველია, სველი იასამანის" მიხედვით)

სამაჩაბლო-აფხაზეთის ტრაგედიებმა მეტად საინტერესო ასახვა ჰპოვა ლ. თაბუკაშვილის პიესაში "მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი". ნაწარმოებში მეტად ღრმად და ფსიქოლოგიურად აისახა ომის სინამდვილე და ბრძოლაგამოვლილთა სულიერი მისტერიები. ომის საშინელებამ ომგამოვლილთა ფსიქოლოგიური რღვევა და ნარკომანია გამოიწვია. კარგად აღზრდილი და საინტერესო აზროვნების ჭაბუკები ომის არაადამიანურმა ბუნებამ სულიერად დაასახიჩრა, მაგრამ როდესაც მათ მიერ გადატანილ ეპიზოდებს ვეცნობით, ძალა არ შეგვწევს ვთქვათ, რომ ისინი დამნაშავენი არიან, იმ აუტანელ პირობებს, რაც სამაჩაბლო-აფხაზეთის ომმა შემქნა, შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა მათზე. ნიას (ბეიბისთერის) ზრუნვა მომავლის გაჯანსაღებისთვის ჩვენგან დიდი თანაგრძნობას იმსახურებს და თავად ომის საშინელებაგამოვლილ ახალგაზრდებსაც კი ცხოვრებისკენ მოაბრუნებს. საბოლოოდ, მიუხედავად ამ მართლაც უაღრესი ტრაგედიებისა და მიუსაფრობისა, მაინც ამოანათებს მომავლის რწმენა და იმედი. თეთრი იასამანის სიმბოლიკა ყოველივეს ანათებს და ამთლიანებს.

მათე ხვედელიძე

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა ჩამოყალიბება 1917-1921 წლების საქართველოში

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს, საქართველოში პოლიტიკური პარტიების აღმოცენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრებმა და გარდაქმნებმა განაპირობა.

იმჟამად არსებულ პოლიტიკურ პარტიებსა და მიმდინარეობებს შორის აღსანიშნავია ორი კატეგორია: ერთნი იმპერიაში არსებული პარტიების პერიფერიული ორგანიზაციებია, რომელთა რიგს განეკუთვნებოდა სოციალ-დემოკრატები, ესერები, ანარქისტები, კადეტები და სხვა. მეორეს კი - ადგილობრივი, ეროვნული, პატრიოტული პოლიტიკური პარტიები ან მიმდინარეობანი, როგორიცაა სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნული დემოკრატები და სხვა.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და სხვა იდეური მიმდინარეობების წარმომადგენლების ორი ზემოხსენებული კატეგორია ერთმანეთისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების უმეტესობა წინა პლანზე ეროვნული თავისუფლების პრობლემას აყენებდა, ხოლო ე.წ. პერიფერიული პარტიული ორგანიზაციები სოციალური უსამართლობის მოსპობის ამოცანას აყენებდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული დაჯგუფება, რომლის ძირითადი ბირთვი 1905 წლისთვის ჩამოყალიბებულია, თითქმის ერთადერთი არასოციალისტური პარტია იყო ჩვენში. სწორედ ის გახდა ბაზა მომავალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა, რომლის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი 1917 წლის ივნისში დასრულდა. იმავე წელს, ამ პარტიას გამოეყო ერთი ჯგუფი – მომავალი „საქართველოს რადიკალურ-დემოკრატიული პარტია", 1918 წელს „დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია". ხოლო 1920 წელს „საქართველოს მიწის მესაკუთრეთა პარტია". ეს პარტიები მხოლოდ 1921 წლის იანვარში გაერთიანდნენ ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის საფრთხის შექმნის შემდეგ.

XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში წარმოიშვა ახალგაზრდული მოძრაობა – „მესამე დასი", რომელმაც იმთავითვე წამოიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ი. ჭავჭავაძისა და თერგდალეულების წინააღმდეგ. 1903 წლიდან აქაც, ისევე როგორც რუსეთში, სოციალ-დემოკრატია ორ მიმართულებად – ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაიყო. XX საუკუნის დამდეგს პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. ხალხოსნურ-ესერულმა მიმართულებამაც ევოლუცია განიცადა: ის ორ ჯგუფად - ეროვნულ და ინტერნაციონალურ-ცენტრისტულად - გაიყო. ქართველ ნეოხალხოსანთა უმრავლესობა ეროვნულ ნიადაგზე დადგა.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პარალელურად, საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ანარქისტები. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წლებში ანარქისტების ჯგუფი თვალსაჩინო როლს ასრულებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში.

გია ხოფერია

ალექსანდრე ქუთათელის რომანი "პირისპირ" - დამოუკიდებელი საქართველოს ქამთაადმწერელი

ალექსანდრე ქუთათელის რომანი „პირისპირ" დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ეს რომანი მწერლის მხატვრულ-წარმოსახვით შესაძლებლობებს უკეთესად წარმოაჩენს, ვიდრე ამას ვგრძნობთ მის სხვა ნაწარმოებების წაკითხვისას, დოკუმენტურობისა და სინამდვილის გაშუქების თვალსაზრისით მოიკოჭლებს, თუმცა იგი აღიარებულია ისტორიულ-დოკუმენტური ყაიდის რომანად.

ამ საკითხის უკეთ წარმოსაჩენად საჭიროდ ჩავთვალეთ არა მხოლოდ რომანში აღნიშნულ ზოგიერთ შეხედულებებზე თანამედროვე მოსაზრებათა გამოყენება, არამედ თავად რომანის პირველი და შემდგომდროინდელი გამოცემების შედარება. აშკარაა, რომ მწერლის დამოკიდებულება,თუნდაც მისთვის კარგად ნაცნობ წარსულთან, თანდათან იცვლება სახელისუფლო რეჟიმის მოთხოვნის გამო და არაერთი ხელოვნური პასაჟი მკითხველს არასწორ წარმოდგენას უქმნის რომანში ასახულ მოვლენებზე.

ოლეგ ჯიბაშვილი

ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული მდგომარეობა XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისათვის

XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ქართლ-კახეთის სამეფო ამიერკავკასიაში აშკარა ჰეგემონობას ფლობდა. ამ დროისათვის სამეფოს ერთპიროვნული მმართველობის სადავეები ერეკლე მეფის ხელში იყო მოქცეული.

ქართლ-კახეთის დაწინაურება განაპირობა 1750-60-იან წლებში გატარებულმა სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ღონისძიებებმა. მართალია, აღნიშნულ ღონისძიებათა წარმატება, მნიშვნელოვანწილად, აღმოსავლეთ საქართველოს ირგვლივ შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამაც განსაზღვრა, მაგრამ გადამწყვეტი როლი ქვეყნის მოსახლეობამ, განსაკუთრებით კი მისმა დომინირებულმა ნაწილმა - ქართველობამ ითამაშა. ქართლ-კახეთის მეფეები სწორედ მათ პოტენციალს ეყრდნობოდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

ნაშრომში, დოკუმენტური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გაანალიზებულია ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული მდგომარეობა XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის. მონაცემები გაშუქებულია რეგიონში არსებული საერთო-დემოგრაფიული ვითარების ფონზე.

ასევე, ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო პოტენციალის შეფასებას მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან მიმართებაში.

მონიკა ჯიჯონაია

ქრონოტოპი ნიკოლოზ ჩხოტუას რომანში - "მარადიული"

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი მწერლის - ნიკოლოზ ჩხოტუას (1905-1984 წწ.) ავტობიოგრაფიული რომანი „მარადიული" სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა პიტერ ნეისმიტმა, რომელმაც მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი მწერლის ამ ნაწარმოებს, სამშობლოს მონატრებით გამოწვეული ტკივილის გადმოცემის თვალსაზრისით, მაღალი შეფასება მისცა. სწორედ პიტერ ნეისმიტის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ქართველ მკითხველს დღესდღეობით შესაძლებლობა აქვს ამ რომანის მიხედვით საკმაოდ კარგად გაეცნოს ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს და სიღრმისეულად ჩაწვდეს მის სულიერ განცდებს. რომანში მწერალს მეტად შთამბეჭდავად აქვს წარმოდგენილი დროისა და სივრცის ურთიერთმიმართება. ნიშანდობლივია ისიც, რომ მიუხედავად ემიგრაციაში ხანგრძლივი დროით მკვიდრობისა, ნიკოლოზ ჩხოტუას ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები ნაწარმოებში კვლავაც სამშობლოს უკავშირდება და ავტორის გულიც მასზე ოცნებით ფეთქავს.